ოთხშაბათი, 17 იანვარი, 1907 წ.

წელიწადი პირველი — № 10.

გაზეთ «ისარი»-ს გამოცემა მიიღება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. ჟკანაზე—10 კ.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. რედაქციის და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

[illegible]
[illegible]
[illegible] სუხისთვის საჭიროა სარეცხ მარკები. მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.
თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ИСАРИ".

**მიიღება ხელის მოწერა 1907 წლისათვის.**

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ი ს ა რ ი

**გაზეთი ღირს:**

| ერთის წლით: | | ნახევარის წლით: | | ერთის თვით: | |
|---|---|---|---|---|---|
| ტფილისში | 6 მ. 50 კ. | ტფილისში | 4 მ. — კ. | ტფილისში | — მ. 75 კ. |
| ტფილისს გარედ | 7 „ — „ | ტფილისს გარედ | 4 „ 50 „ | ტფილისს გარედ | — „ 80 „ |
| საზღვარ-გარედ | 12 „ — „ | საზღვარ-გარედ | 6 „ — „ | საზღვარ-გარედ | 1 „ 50 „ |

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.**

**ხელის მოწერა შეიძლება:**

**ტფილისში:** 1. «ისრის» რედაქციაში (ელისაბედის ქ., № 1, მილოვის სახლი). 2. «ქ. შ. წ.-კ. საზოგ.» წიგნის მაღაზიაში შიო ქუჩუკაშვილთან (სასახლის ქ.). **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან («კოლხიდის» ამხანაგობაში). **ჭიათურაში:** სოფრომ ტარიელოვთან, ჭიათურის კანკში. **ბაქოში:** გიორგი ჩხეიძესთან (ჭინჭარაძის და ჩხეიძის მაღაზიაში).
ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, редакція газ. «ИСАРИ».**

**გიორგი დავითის ძე და დედა მისი მაგდან მათეშვილლები** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს. 18 იანვარს, გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი პირველის—მამის, ხოლო მეორის—მეუღლის

### დავით მათეშვილის

სულის მოსახსენებლად კუკის წმინდა ნინოს ეკლესიაში. წირვა დაიწყება დილის $9^1/_2$ საათზედ. (1—781—1)

ხუთშაბათს, 18 იანვარს, დილის 9 საათზე, მოხდება გამოსვენება და დაკრძალვა მცხეთის საკრებულო ტაძრის გალავანში **კნეინა**

### მარიამ ალექსანდრეს ასულის გედევანიშვილის

ცხედრისა. მატარებელი მიდის დილის 8 საათ. ტფილისის დროზე (1—782—1)

## ტფილისის ლიმონადის ქარხნები

ამით აუწყებენ ტფილისის ყველა თავის პატივცემულ მუშტარ-ვაჭრებს, რომ ჩვენს კონდუქტორებს დავალებული აქვთ, თუ რომელსამე ჩვენ მუშტარს აღმოაჩნდება უვაზო სიფონი, ან გახეთქილი ბოთლი, რომელსაც ცხადად შეეტყობა მაშინისაგან დაკრული პრობკა, ის დაუყოვნებლივ გამოსცვალონ.
(3—776—3) **ტფილისის ლიმონადის მექარხნეები.**

SALON „MODES"

## სამკერვალო

ვღებულობთ და ვასრულებთ წესიერად, თავის დროზე, ყოველნაირ დაკვეთას

## ქალთა ტანისამოსისა

გვექნება მრავალნაირი ნიმუშები „მატერიებისა"

## ახალ-ახალ მოდაზე

როგორც საკაბე, ისე საპალტოვე და ყოველნაირი ბაფთები (კრუჟევა) და სხვა მასალა მათდა გასაწყობად.

**მსურველთ ვასწავლით ჭრა-კერვას და ქარგვას.**

სერგიევის ქუჩაზე მირზოევის სახლში № —9 (სოლოლაკი). (50—61—45)

განსვენებულის **თავ. ივანე შარვაშიძის** დედა კნ. ალათი და მეუღლე კნ. ტერეზია შარვაშიძისანი, ძმები თავადნი კონსტანტინე და ალექსანდრე შარვაშიძენი და დები კნ. დესპინე გელოვანისა და კნ. სალომე მხეიძისა გულითად მადლობას უძღვნიან ყველას, ვინც პატივი სცა მათ და დაესწრო განსვენებულის დაკრძალვას ან დეპეშებითა და წერილებით სამძიმარი გამოცხადა. (1—783—1)

**ელისაბედ ალექსანდრეს ასული ხიზანაშვილისა** გულწრფელ მადლობას უძღვნის ყველა მათ, ვინც დეპეშით, წერილით თუ პირადად ანუგეშა უზომო მწუხარებაში საყვარელ მეუღლის

**ნიკოლოზ ხიზანაშვილის**

ტრაგიკულად გარდაცვალების გამო

კბილის ექიმი

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, 5—7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (25—11)

ექიმი

**გ. ნ. მაგაკიანი**

იღებს ავადმყოფებს შინაგან და ბავშვებისას. სპეციალური ექიმია **კუჭისა და ნაწლევებისა.** მიღება: დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პროს., № 36, სახ. ქავჭანიძისა (25—8)

ექიმი

**ა. ნ. დიასამიძე**

**განიზა და ვენერიული.** დილით 9—10 ს., საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ექიმი

**ვ. ს. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—$11^1/_2$. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

## სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

**ტფილისში**

მუდმივის საწოლებით

(ელისაბედის ქუჩა, № 79, ტელეფ. № 1026).

მიღება გარედან მოსიარულე ავადმყოფებისა

**მიხეილ აგაჯანოვი:** 11—12 ს. საშოდე, კანისა და სიფილისი.

**ი. ნ. ეგიაზაროვი:** 11—12 ს. ნერვების, შინაგან ავადმ., წამლობა ელექტრონით.

**გ. ა. ტატევოსოვი:** 12—1 ს. შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი.

**ი. გ. ავეტისოვი:** 12—1 ს. ქალისა და ბებიობისა.

**მ. პ. კიმონტი:** 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურისა.

**პ. ა. ზეიერი:** 1—2 ს. საბავშვო და შინაგანი.

**ი. ნ. თუმანოვი:** 5—6 ს. საღამოთი. ქალისა და ბებიობისა.

სამკურნალოსთან შეიძლება ექიმობა ჰიპნოზით, აგრეთვე მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით. დაწოლა შეიძლება საზოგადო პალატაში და ცალკე ნომრებში. (100—ხალ.—5)

თვალის ექიმი

**ზ. მ. ცხვედაძე**

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველდღე დილ. 9—1 ს. და საღ. 4—6. ვერა, ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—732—14)

**ლაკტო-ბაცილიანი რძე**

მზადდება თანახმად პროფ. მეჩნიკოვის დარიგებისა პროვიზორ

## ა. ს. პლემბანსკის

ქიმიკო-ბაქტერიოლოგიურ კაბინეტში

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ტელეფონი № 389. (100—51—51)

ქ. ქუთაისში

**ექიმი ი. ი. ჩარექოვი**

იღებს სიფილისიან, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 12—2 საათამდის. გეგუთის ქუჩა, აბულაძის შესახვევი იოსელიანის სახლში. (25—თვ.—25)

**სახაზინო თეატრი**

ანტრეპრიზა რიზა ნორდშტრემისა

**ოთხშაბათს, 17 იანვარს 1907 წელს.**

დანიშნულია ბენეფისი **ამბანოვისა**

შესრულებული იქნება

## გეიშა

ოპერეტა 3 მოქ.

მიმოზას როლს შეასრულებს **რიზა ნორდშტრემისა**

რეჟისორი **ს. დობროტინი.**

გამგე **ვ. ლ. ურუშაძე.**

## ქსნის

**მოაგარაკეთა ამხანაგობის** გამგეობა იწვევს ყველა ამხანაგებს **ნოტარიუს მღებროვთან** (ტფილისში, ერევნის მოედანზედ) 20—26 იანვრამდის (ყოველ დღე, კვირა უქმის გარდა) ნაშუადღევის 3 საათამდე, ამხანაგობის წესდებაზედ ხელის მოწერის შესამოწმებლად. ამხანაგებს იქვე შეუძლიანთ წაიკითხონ გამგეობის მოხსენება **წყლის გაყვანისა** და სხვა საქმეთა წარმოებისა გამო. ამხანაგობაში შესვლის მსურველთ ვთხოვთ მიმართონ ბიურო **„სოტრუდნიკ"-ში** (დვორცოვი ქუჩაზედ, სარაჯიშვილის სახლის ეზოში) ამხანაგ-გამგეს გიგო თოიძეს.
(2—776—2)

## ტფილისი, 17 იანვარი.

შარშანდელი წელიწადი დიდმნიშვნელოვანი იყო ავსტრიისათვის; მეტად თვალსაჩინოდ გაიმარჯვა დემოკრატიამ. ავსტრიის ორივე პალატამ დიდის ჭაპანწყვეტის შემდეგ მიიღო ახალი საარჩევნო კანონი, რომელიც საარჩევნო უფლებას აძლევს იმ მოქალაქესაც, ვინც აქნობამდის მოკლებული იყო ამ უფლებას.

რუსეთის უმაგალითო რევოლიუციამ შარშან ბევრს აუხილა თვალი და ყურები აცქვეტინა. ძალა-უნებურად იძულებულნი გახდნენ მმართველნი ქვეყნისა და საზოგადო საქმეთა სათავეში მდგომნი ყურებიდან ბამბის-მველა გამოეღოთ, თვალი მიევლ-მოევლოთ არსებულ წეს-წყობილებისათვის, დახავსებული და შეუფერებელი განეგდოთ, ვითარცა ემმაკეული, და შემოეღოთ ახალი, დროსა და ჟამის შეფერებულ-შეხამებული. ამ გვარად; ის უბედური მდგომარეობა, ჩვენ რომ მთელი წელიწადი სისხლის მორევში ვცურავდით, ავსტრიელმა თავის ქვეყნისთვის გამოიყენა და მოიხმარა. საერთო საარჩევნო უფლება დღეს უკვე კანონია ავსტრიაში. ავსტრიის წვრილ-წვრილ ერებმა მიიღეს იმდენი ხმა, რამდენიც შეეფერება მათ რაოდენობას. მაშასადამე, დღეიდან ეროვნულ დაჩაგვრას პოლიტიკაში იმდენი ადგილი აღარ ექნება ავსტრიის ნიადაგზე, რამდენიც დღემდე ჰქონდა. თუ სადმე მცირედი უსამართლობა დარჩა, უეჭველია, ამასაც ბოლო მოეღება მალე. ამ გვარად დიდებულმა რეფორმამ დიდებულად ჩაიარა და მერე როგორ, არც არავინ დაწიოკებულა და არც არავინ დაუხვრეტიათ.

წელიწადი არ გაივლის რომ ასეთივე რეფორმა მოხდება ავსტრიის იმპერიის მეორე ნახევარში—ჰუნგრეთში. ჰუნგრეთის მინისტრებმა ვეკერლემ და კოშუტმა საქვეყნოდ აღიარეს, რომ საარჩევნო უფლების რეფორმას მალე განვახორციელებთო.

საერთო საარჩევნო უფლების დაკანონებას ერთი დიდი შედეგი მოჰყვა. დიდის მიხლა-მოხლის შემდეგ ავსტრიაში დაარსდა საიმპერიო ავტონომისტთა კავშირი. პროგრამა კავშირისა უკვე გამოქვეყნებულია და აი რას ამიებს იგი: პირველი—დავიცვათ იმპერიის ერთობა, მთლიანობა. საფუძვლად ასეთ სურვილს და მისწრაფებას უნდა დაედოს განვითარება და გაფურჩქვნა იმპერიაში შესულ თვითეულ ერის ეროვნულ ავტონომიისა. მეორე—კავშირს აზრად აქვს შეაერთოს ყველა ის საპოლიტიკო პარტია, საზოგადოება და კერძო ადამიანი, რომელნიც მზად არიან იმუშაონ, რათა მოწვეულ იყვეს საზოგადო საიმპერიო პარლამენტი საყოველთაო და პირდაპირის საარჩევნო უფლებით და ნაციონალურ კადასტრის მიხედვით: *) ამგვარმა პარლამენტმა უნდა შეადგინოს ისეთი კონსტიტუცია, რომელიც უზრუნველ ჰყოფს სავსებით თვითეულ ერის სრულს დამოუკიდებლობას: საკულტუროს, საადმინისტრაციოს და სასამართლოს საფედერაციო ავსტრიის სახელმწიფოს ფარგალში.

კავშირს აზრად აქვს აგრეთვე შესცვალოს დღევანდელი დანაწილება იმ პატარა ქვეყნებისა, ტახტის მამულებად რომ ითვლებიან, მაგალითებრ ბოსნია და ჰერცოგოვინა. ესენი უნდა შეუერთდნენ ხორვატიას. ამას გარდა იმპერიის დასავლეთის ნახევარზე უნდა დაარსდეს ცალცალკე ტერრიტორიები: სლავიანური, გერმანული, რომანული და სხვა. მესამე—იმპერიის კონსტიტუცია იმ გვარად უნდა დაიწეროს, რომ უზრუნველ ჰყოს, მიუხედავად თვითეულ ოლქის, ანუ კუთხის სრულის ავტონომიისა, მთლიანობა ფედერატიულ სახელმწიფოსი, რომელსაც განახორციელებს, ანუ წარმოადგენს იმპერატორი, პასუხის მგებელი სამინისტრო კანცლერის მეთაურობით და საიმპერიო პარლამენტი (რეიხსტაგი).

ავტონომისტთა კავშირი მხნედ მოქმედებს და ავრცელებს ხალხში თავის პროგრამას.

აღსანიშნავია, რომ ფედერაციისა და ავტონომიის ქადაგების საქმე ახლა ავსტრიაში სოციალისტურმა პარტიებმა იკისრეს. ავსტრიის ს.-დემოკრატიამ უკუაგდო ვიწრო დოგმა და ყურადღებით მოეკიდა ეროვნულ საკითხს. ავსტრიის სახელმწიფოს ფედერატიულ საფუძველზე მოწყობა ახლა დემოკრატიის საგნად, დემოკრატიის მისწრაფებად ხდება და ეს არის თავდები ახლო გამარჯვებისა.

ფედერატიულად მოწყობა რუსეთის იმპერიისა ბევრს მიაჩნია უნიადაგო ოცნებად. შვეიცარიისა და ამერიკის შტატების მაგალითი რუსეთს არ გამოადგებაო, გაიძახიან ცენტრალიზმის მოტრფიალენი. აზრი ფედერაციისა დიდი ხანია ღვიოდა ავსტრიაში და, როგორც ჰხედავთ, დღეს ეს აზრი ხორცს ისხამს. ავტონომისტთა კავშირი ავსტრიაში მალე მიაღწევს აღსრულებას და ორ ფედერატიულად მოწყობილ ქვეყანას მესამეც მიემატება. ქვეყნის მთლიანობაც იქნება შენახული და თვითეულ ერს სრული საკუთარი ავტონომიაც ექნება და თავის შინაურ საქმეს ისე გაუძღვება, როგორც მისი ინტერესი მოითხოვს. თქმა არ უნდა მაშინ, როდესაც ბოლო მოეღება ეროვნულ მიხლა-მოხლას, გაადვილდება ბრძოლა ეკონომიურ ნიადაგზედაც.

*) კადასტრი ჰქვიან იმ წიგნს, სადაც აღნუსხულია მამულის რაოდენობა და ნაჩვენებია ფასი მამულისა.

## არჩევნები სახელმწიფო სათათბიროში

### ჩვენში

**მიწა და თავისუფლება.** ტფილისში ამას წინად უპარტიო მემარცხენეთ განიზრახეს, რუსეთის ზოგიერთ ქალაქების მაგალითით, „მიწისა და თავისუფლების" ჯგუფის დაარსება და წინადადებით მიჰმართეს ს.-რ—ის, ს.-ფ.-ის და „დაშნაკც."-ის პარტიებს, რომ შეთანხმება მოეხდინათ ტფილისის საქალაქო არჩევნებში ერთად გამოსასვლელად. როგორც გავიგეთ, ამ ჯგუფის შედგენის საქმე შეფერხებულა. ეს ერების საოლქო ორგანიზაციას, ც. კ-ის ნებართვით, თანხმობა გამოუცხადებია „მიწისა და თავისუფლების" ჯგუფში მონაწილეობაზე, მაგრამ ტფილისის ორგანიზაციას პრინციპიალურის მოსაზრებით უარუყვია „დაშნაკციუტ."-ის პარტიასთან შეთანხმება. ს.-ფ.-ის ფედ. კ-ს შესაძლებლად დაუნახავს „მიწისა და თავისუფ." ჯგუფში შესვლა, თუ ყველა ფედერატიული პარტიები მიიღებენ მონაწილეობასა, მაგრამ ამის საბოლოო გადაწყვეტა და პრაქტიკული განხორციელება ტფ. კ-სათვის მიუნდვია; ახლა ტ. კ—ს უარი უთქვამს ჯგუფში შესვლაზე, რადგან „დაშნაკც."-ის პარტიას, შეთანხმების პირობების გამორკვევამდე, უკვე შეუდგენია ამომრჩეველთა სიები 6 საარჩევნო უბანში და შეთანხმება მხოლოდ 4 დანარჩენ უბნისათვის განუზრახავს. ამრიგად ს.-რ.-ის და ს.-ფ—ის ადგილობრივ ორგანიზაციებს უარუყვიათ საარჩევნო შეთანხმება და განზრახულ ჯგუფში მონაწილეობის მიღება. ასე რომ, ჯგუფი თუ შესდგა, დაშნაკცაკანები და უპარტიო მემარცხენენი (შარშანდელი რადიკალები)-ღა იქნებიან მონაწილენი. ეს-ერები და ს.-ფ—ი საკუთარ სიების შედგენას, როგორც ამბობენ, არ აპირობენ ქალაქ ტფილისში და საარჩევნო კამპანიას მხოლოდ გუბერნიაში გასწევენ.

---

**ქუთაისი.** რაჭიდან, ბაღდადიდან და სხვა ადგილებიდან მოვიდა ცნობა, რომ წვრილ მემამულეთა კრებანი უამინდობისა და ხალხის გამოუცხადებლობისა გამო არ შესდგა. ამ გვარივე საქმე დამართვიათ გლეხთა რწმუნებულების არჩევას ათის თავების მიერ. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ კრების დღე არც ათის თავებმა და არც წვრილმა მემამულეებმა გადაჭრით არ იცოდნენ, ამომრჩეველთა გამოუცხადებლობა კრებებზე ადვილი გასაგებია. ადვილი გასაგებია ისიც, რომ მემამულეთა კრებაზე ხმის უფლება ექნებათ მსხვილ მემამულეებს, რომელნიც, ეჭვი არ არის, მემარცხენე პარტიების მომხრეებს არ აირჩევს.

ხონის რაიონში გლეხთა რწმუნებულები აურჩევიათ; უმრავლესობა, როგორც იქიდან მოსულებმა გვითხრეს, ეს-დეკებს ეკუთვნიან. ქუთაისის საბოქაულოში გლეხთა რწმუნებულთა შორის ს.-ფედერალისტი ბევრია, მაგრამ ნამდვილად განსაზღვრა იმისა, ვისია უმრავლესობა, ჯერ-ჯერობით შეუძლებელია. შორაპნის მაზრის ხარაგაულის საბოქაულოში უმრავლესობას რწმუნებულებისას ჩვენის ცნობით ს.-ფ. შეადგენენ. ზუგდიდში წვრილ მემამულეთა კრება არ შემდგარა მემამულეთა გამოუცხადებლობის გამო. ცნობა იმის შესახებ, თუ რომელ პარტიას ეკუთვნიან გლეხთა რწმუნებულები ზუგდიდის მაზრაში, არა გვაქვს.

ბუნებრივად იბადება კითხვა—ხელმეორედ მოუწოდებენ წვრილ მემამულეთ რწმუნებულების ასარჩევად იმ ადგილებისთვის, საცა კრება არ მოხდა, თუ იმით დაკმაყოფილდებიან, რაც იყო.

ქუთაისის ქალაქის ამრჩეველთა სურვილი, რომ არჩევანი დახურულის კენჭის ყრით მომხდარიყო—არ შეიწყნარა ნამესტნიკმა. ქალაქის გამგეობა უკვე შეუდგა ბარათებისა და უწყებების ბლანკების ბეჭდვას და ამ დღეებში დაურიგებენ ხმის მქონეთ. მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას იმ გარემოებას, რომ თუ პოლიციამ არ ჩაიბარა ბარეთებისა და უწყების ბლანკი, თითონ უნდა იზრუნოს ამ საქმისათვის, ვინაიდან უამისოდ ხმა დაეკარგებათ. ქუთაისის არჩევნები 20 ამ თვისთვის დანიშნულია და ვადა მეტად ცოტაა და ყველანი უნდა ეშურონ.

---

**ბელაგორი.** 12 იანვარს, როგორც მთელ ქუთაისის გუბერნიაში, გლეხთა რწმუნებულების არჩევა ხარაგაულშიაც მოხდა: ათისთავი იყო ოთხმოცდა თხუთმეტამდე, მაგრამ კრებას დაესწრო მხოლოდ, ორმოცდა თხუთმეტი.

კრება გაიხსნა მამასახლის გ. კოპაძის და მწერლის ი. ტაპატაძის დასწრებით. არჩევნები, უნდა მოვახსენოთ, მოხდა ისე, როგორც უჯობდათ, ჩვენს სოც.-დემოკრატებს. კრებას გახსნისთანავე მწერალმა იოსებ ტაპატაძემ სიტყვით მიმართა ხალხს და ურჩია: შარშანდელი რწმუნებულები აერჩიათ. ამაზე შეიქნა ცხარე კამათი. ნახევარზე მეტი ათისთავებისა წინაამდეგი იყო შარშანდელ რწმუნებულების არჩევაზე, მაგრამ ბოლოს ხმის უმრავლესობით გადასწყვიტეს, კენჭით აერჩიათ ხელახლა რწმუნებულები. კანდიდატებად წამოაყენეს როგორც შარშანდელი რწმუნებულები, ისე სამი სხვა, ე. ი. სულ ხუთმა კაცმა იყარა კენჭი. მაგრამ ჰახრაკულად მოწყობილი იყო თურმე წინდაწინ საარჩევნო კამპანია. ეს ჰახრაკული საქმე მოუწყვია ბ-ნ მწერალს რომელიც არ მახსოვს რომელ ნომერში

გაზ. „ტალღაში“ ბელაგორის კორესპონდენციაში ჯამუშთა სიაში იყო გამოქვეყნებული და ალბად უნდა ბატონ მწერალს ის ეჭვები, რომელიც მასზე სოც.-დემოკ. მიიტანეს საარჩევნო კომპანიის მოწყობით გააქარწყლოს. მოწყობილი იყო არჩევნები ამნაირად:

1. 95 ათისთავიდან დაებარებინა მხოლოდ 55.

2. ყუთი დაუდგეს კანდიდატებს, ხუთის მაგივრად ერთი, სადაც ამომრჩევლები არიან არ იცოდნენ, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ.

3. ყუთთან იდგნენ სოც.-დემოკრატების კლავიორები და ეუბნებოდნენ: ეხლა „შავში“, ეხლა „თეთრში“, ეხლა „შავში“, ეხლა „თეთრში“, ასე ამგვარად გააშავეს სამი კანდიდატი და გათეთრეს ისევ შარშანდელი რწმუნებულები. ამ რიგად, იყო მოწყობილი ჩვენში გლეხთა არჩევნები. დანარჩენ სამ კანდიდატზე სოც.-დემოკ. კლავიორები ჰყვიროდნენ ხალხში: ეგენი ბურჟუების პარტიას ეკუთვნიან და სხ. ყოველივე ეს უწესოება შენიშნეს იქვე მდგომმა ამხანაგებმა და სთხოვეს ბატონ მწერალს იოსებ ტაბატაძეს, რომ ეს „კლავიორები“ გაეჩუმებინა მან პასუხად უთხრა, თქვენი საქმე არ არისო... და თუ კიდევ გაიმეორებთ, გარედ გაგყრითო, რადგან თქვენ მონაწილეობას არ იღებთ არჩევნებშიო

**დამსწრე.**

---

**ბეჟათუბანი.** 12 იანვარს ბეჟათუბანის საზოგადოებაში მოხდა კრება გლეხთა ორის რწმუნებულის ასარჩევად. თუმცა სოც.-დემოკრატებს ბევრი „კლავიორები“ ჰყავდათ კრებაზე, რომ მათი კანდიდატები გაეყვანათ, მაგრამ უმტყუნათ ამდენმა ცდამ და მათი კანდიდატები გააშავეს. არჩეულ იქმნენ მემარცხენენი.

**აქაური**

---

**დ. ყვირილა.** როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, დ. ყვირილის გარშემო სოფლებში გლეხთა ყველა ათის თავებს აფ. მერკვილაძის მუქარის ბარათები მოსვლიათ: „თუ ჩემ მიერ დასახელებულ რწმუნებულებს არ გაიყვანთ, ვაი თქვენი ბრალიო“. აქედან აშკარაა, რომ ყველა მისს კანდიდატებს გაიყვანენ ამ ახლო-მახლო სოფლებში. შორაპნის საზოგადოებაში ორივე გლეხთა რწმუნებული მემარცხენეა, ერთი-ერთი პარტიისა, მეორე—მეორესი.

**მეთვალყურე.**

---

## რ უ ს ე თ შ ი

**საგენტოს დეპეშები არჩევნების შესახებ.** პეტერბურგის მახლობელ 57 ქარხნის 37,478 ამრჩევლებიდან გამოცხადდა 33,167 კაცი. აირჩიეს 92 რწმუნებული; ამათში 79 რუსი-მართლმადიდებელი, 11 პოლონელი კათოლიკე, 2 ესტონელი ლუთერანი. ყველანი მემარცხენენი არიან.

ტამბოვის გუბერნიის წვრილ მესამულეთ აირჩიეს 17, ყველანი ზომიერნი არიან. პენზის გუბერნიის კრასნოსლობოდის და სარანსკის მაზრებში აირჩიეს 37 რწმუნებული, ამათგან 21 ზომიერი; პსკოვის გუბერნიის ოსტროვსკის და ტოროპეცკის მაზრებში აირჩიეს 11 რწმუნებული; მინსკის გუბერნიის პინის, მინსკის, ბორისოვის, მოზირევსკის, იგუმენსკის მაზრებში აირჩიეს 86, ამათგან 19 მონარქისტი და ზომიერი; გროდნოს გუბერნიის სოკოლსკის, სლონიმსკის და ბელოსტოკის მაზრებში აირჩიეს 100, ამათგან 69 ზომიერი; კოსტრომის მაზრაში აირჩიეს 6, იმათგან 5 ზომიერი; ასტრახანის გუბერნიის ენოტაევის მაზრაში აირჩიეს 1 ზომიერი; ვიტებსკის გუბერნიის ლიუცინის მაზრაში აირჩიეს 17 რწმუნებული.

12, 13 და 14 იანვარს არჩევნების შედეგი შემდეგია. ვოლოსტების მუშათა და წვრილ მემამულეთა კრებაზე არჩეულია 2927 რწმუნებული, იმათგან მონარქისტი და მათი თანამოაზრე 1167, ზომიერი 790. ორიოლის გუბერნიის ვოლოსტებში პირველი რიგის არჩევნები დასრულდა; 197 კრებამ აირჩია 384 რწმუნებული, იმათგან 40 მონარქისტია, 296 ზომიერი; კალუგის გუბერნიის ჟიზდრინის, ტარუსკის, მასალის, ბოროვის და მეშჩოვსკის მაზრებში აირჩიეს 186, იმათგან 130 მონარქისტი და 47 ზომიერი; იაროსლავის გუბერნიის მიშკინის მაზრაში აირჩიეს 42 რწმუნებული, იმათგან 5 მონარქისტი, 37 ზომიერი; ბესარაბიის გუბერნიის ხოტინის მაზრის 12-მა კრებამ აირჩია 24, იმათგან 5 მონარქისტი და 19 ზომიერი.

კალუგის გუბერნიის მიზდრინის მაზრის 9 ქარხანაში აირჩიეს 9, იმათგან 4 მონარქისტი. კალუგაში გადადებული არჩევნები ორ ქარხანაში 14 იანვარს მოხდა; აირჩიეს 2 ზომიერი.

ოფიციალურის ცნობით მოსკოვში 350 ქარხანაში აირჩიეს 313 რწმუნებული, იმათგან 191 ზომიერი-მონარქისტი; 39 ქარხანაში სხვა და სხვა მიზეზებისა გამო არჩევნები არ მომხდარა.

ტავრიდის გუბერნიის სევასტოპოლის 7 ქარხანაში აირჩიეს 7.

წვრილ მემამულეთა არჩევნები კიევის გუბერნიის ყველა მაზრაში დამთავრდა; აირჩიეს 520, იმათგან 298 მონარქისტი, 222 ზომიერი.

პსკოვის გუბერნიის, პორხოვის მაზრაში აირჩიეს 6, იმათგან ორი მონარქისტი და 1 ზომიერი.

# ახალი ამბავი

✦ **კიდევ ექიმ ხუდადოვის დაჭრის შესახებ.** გუშინ მოკლედ უკვე აღვნიშნეთ ექიმის ხუდადოვის დაჭრის ამბავი ბ-ნ ხუდადოვს უამბნია, როგორც გამოირკვა, ამ გვარად მომხდარა: 15 იანვარს რკინის გზის ლაზარეთში ექიმს მუშაობა გაუთავებია 12 საათზე ცოტა ადრე. როცა ექიმი ლაზარეთის კიბეზე ჩასულა და, მობრუნებულა მარცხნივ ქაფენილზე გადაუდგავს თუ არა ორიოდე ნაბიჯი, მასთან მისულა ერთი კაცი და ავადმყოფთან მისაწვევი ბარათი გადაუცია. ექიმს ბარათი გაუხსნია. ამ დროს ლაზარეთის სადგომის კუთხეში მდგარა ორი კაცი. ესენი ესწრაფლ მივარდნიან ექიმს და ორჯელ რევოლვერი უსროლიათ. ექიმის უკან მიხავალა რკინის გზის ტელეგრაფის მოხელე ქალი ნიკოლაევისა, რომლის გვერდზედაც ისე ახლო შეუსვრია ბოროტ მოქმედს რევოლვერი, რომ ქალს ჰგონებია. მე მესვრიანო. როცა უცნობები გატრიალებულან, ქალს მოსმია ხმა ექიმისა: ვაიმე მომკლესო! ქალი მიშველებია ექიმს, რომელიც ლაზარეთში აუყვანიათ, იმას-კი, ვისაც ხუდადოვისთვის მოსაწვევი ბარათი გადაუცია, ყვირილი დაუწყვია, დაიჭირეთო. ნიკოლაევას ქალს დაუნახავს რკინის გზის ტელეგრაფისტი მალჩანოვი რომელიც რევოლვერის მსროლელთან ერთად გაქცეულა. ეჭვი აქეთ, ვითომ მალჩანოვს მოკვლის განზრახვაში რაიმე მონაწილეობა უნდა მიეღოს. როგორც ამბობენ, იგი უკვე დაუპატიმრებიათ და გამოძიებას შესდგომიან. 15 იანვარს დაჭრილი ექიმი, რომლისათვისაც ტყვიას ფილტვი გაუხვრეტია, კარგად იყო ხოლო გუშინ, 15 იანვარს ცუდად გახდა, ისე რომ ექიმებს მისი მორჩენ საეჭვოდ მიაჩნიათ.

✦ **მთელი სოფლის დაჯარიმება.** ტფილისის გენ.-გუბერნატორის განკარგულებით, ოთხ-ოთხი მანეთით დააჯარიმეს გორის მაზრის სოფ. რუისის მცხოვრებნი. ამათ ჰბრალდებათ გიორგი ნასყიდაშვილის მკვლელის დამალვა.

✦ **გადასახლება.** ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით, ასტრახანის გუბერნიაში იგზავნებიან: სამხედრო წესებისა მოხსნამდე-გორის საპყრობილეში დაპატიმრებული ილია ზაქარიას ძე მაისურაძე (ბრალდება წითელ რაზმის წევრობა) და მეტეხის ციხეში დაპატიმრებული სარქის დავითიანცი (უნახეს ორი რევოლვერი), ხუთის წლით ა. არუთინოვი (რევოლვერი უნახეს). საგენერ-გუბერნატოროდან ეტაპით იგზავნებიან: ტფილისის მეხუთე ნაწილის „გოროდოვოი“ ზატოვი (მავნე მიმართულებისთვის), გორელი იაგორ ხმიადაშვილი. რევოლვერის ტარებისთვის სამის თვით დააპატიმრეს გორის მაზრის მცხოვრები გიგო ბესტავაშვილი.

✦ **ყურანი და ქართველი მამადიანნი.** ზაქარია ჭიჭინაძემ მოიარა ამას წინად ქობულეთი და აჭარა, სადაც გაავრცელა ქართულად გადმოთარგმნილი ყურანი. ქართულ ყურანს ყველანი თანაგრძნობით მიჰგებებიან. ზ. ჭიჭინაძეს ამ დღეებში ქობულეთსა და აჭარიდან მოუვიდა წერილები 13 კაცისაგან, რომელნიც ითხოვენ, გაეგზავნოთ თითო ცალი წიგნისა.

✦ **გიმნაზიელის მოტაცება.** უცნაური ამბავი მომხდარა 14 იანვარს. ტფილისში რუსულ გაზეთების სიტყვით, ვიღაც უცნობ კაცებს ტყვედ წაუყვანიათ ცნობილ მილიონერის არამიანცის შვილი, 19 წლის გიმნაზიელი. თურმე უცნობებს ყმაწვილი ეტლში ჩაუსვამთ და სადღაც მიუმალნიათ. ეხლა ეს უცნობნი არამიანცს შვილის გამოსასყიდად ორმოცდა ათი ათას მანეთსა სთხოვენ.

✦ **ხმოსნების ამომრჩეველთა სია.** გუშინ გუბერნატორმა მისწერა ტფ. ქალაქის თავს, რომ მისის მხრით არავითარი დამაბრკოლებელი მიზეზი არ არის, ქალაქის გამგეობამ გამოაქვეყნოს მომავალ წლისათვის ტფ. საბჭოს ხმოსნების ამომრჩეველთა სიები. ამასთან გუბერნატორი სწერს ქალაქის თავს, რომ სიები არჩევნებამდე სამი თვით ადრე უნდა გამოცხადდესო.

✦ ტფ. „სობრანიეს“ წევრებს კრება ჰქონდათ 15 იანვარს, რომელზედაც, სხვათა შორის, აძრეს საკითხი ზანგეზურის მაზრაში დაზარალებულთათვის დახმარების შესახებ. კრებამ 1000 მან. გადასდო ამ საქმისთვის. ამავე კრებაზედ კრებამ „სობრანიეს“ მამასახლისები აირჩია.

✦ ტფ. ქალაქის სასწავლებელთა კომისიამ განიხილა საკითხი ტფ. ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის სადგომის გაფართოვების შესახებ, რადგან პარალელურ განყოფილების გახსნის შემდეგ სადგომი სასწავლებლისათვის აღარა კმარა. კომისიამ დაადგინა, წინადადება მიეცეს სასწავლებლის გამგეს შეადგინოს და წარადგინოს კომისიამ პროექტი შენობის გაფართოვებისა.

# ქუთაისის ქრონიკა

✦ ჭიათურაში დიდის თოვლისა და უამინდობის გამო მუშაობა შესწყდა და მუშების უმრავლესობამ თავი დანება ჭიათურას. რკინის გზის მოძრაობაც შეფერხდა.

შავი ქვის მრეწველთა საბჭომ ხელშეკრულობა დაარღვია ბახვა გვაბზაშვილთან, რომელსაც იჯარით ჰქონდა აღებული ჭიათურის განათება ნავთის ლამპებით. ხელშეკრულობის დარღვევა იმან გამოიწვია რომ საბჭოს აზრად აქვს ჭიათურა ელექტრონით გაანათოს.

✦ იგივე საბჭო რკინის გზის გამგეობას შეეკრა ხელშეკრულობით იმ აზრით, რომ შავი ქვის პლატფორმები ელექტრონით გაანათოს. ელექტრონის სინათლის მოწყობას საბჭო უკვე შეუდგა.

✦ ამ დღეებში ქუთაისში ტფილისის სამ-სამართლო პალატამ განიხილა საქმე ნ. ბერიძისა, რომელსაც ის ბრალი ედებოდა, რომ გადათარგმნა და გამოსცა ბროშურა: „რა უნდა გლეხს“. ბერიძეს იცავდა ნაფიცი ვექილი მოსე ქიქოძე. პალატამ ბერიძე გაამართლა.

✦ მთელ დასავლეთ საქართველოში სამხედრო მოვალეობის ასასრულებლად არ გამოცხადებულა 800 კაცი. ქუთ. გენ. გუბერნატორის სავალდებულო დადგენილების თანახმად, ოჯახი, რომელსაც ეკუთვნის ახალგაზდა და სოფლის საზოგადოებაც ამ შემთხვევაში უნდა დაჯარიმებულ იქმნან 300 მანეთით.

ექვიარ არის, რომ ამ დადგენილებას შეუსრულებლად არ დასტოვებენ. რა გაუძლებს გადასახადს, რომელიც ნახევარ მილიონის ოდენა იქნება!

✦ აქამდის ადმინისტრაცია ... სჯიდნენ ხალხს, ეხლა ადმინისტრაციულადვე სჯიან სოფლის საზოგადოებებს. მოვიყვანს მაგალითი: მარანის, აბაშის და სუჯუნის სოფლის საზოგადოებანი (სენაკის მაზრა) თითო კომლი დააჯარიმეს თითო მანეთით იმისთვის, რომ აქ ყრილობაზე მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციის გაწევის ნება მიუციათ ორატორებისთვის. ამავე მიზეზის გამო 200 მანეთით დაუჯარიმებიათ ს. შალაური (შორაპნის მაზრა).

✦ პოლკოვნიკ ტოლმაჩევს გუბერნატორის მოწერილობა მოსვლია: ზომები მიიღე, რომ სენაკის და ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურთ სახელმწიფო გადასახადი გადაახდევინოო.

✦ აქამდის ადმინისტრატიულად დასჯილთ ჰგზავნიდნენ არხანგელსკის და ოლონეცკის გუბერნიებში, საცა, ჩვენის აზრით, ეხლა უფრო მეტი ქართველი უნდა იყოს, ვიდრე სპარსეთშია. ეხლა გუბერნატორს ნამესტნიკის მოწერილობა მისვლია, არხანგელსკის გუბერნიაში გასაგზავნი კაცები ვიატკისაში გაგზავნეო, ხოლო ოლონეცკის გუბერნიაში გასაგზავნი—ვოლოგდისაშიო. ეხლა ამ გუბერნიებშიც გაჩნდება ქართველი კოლონიები...

✦ ქუთაისის საოლქო სამართველოს რევიზიის დროს ბოროტ-მოქმედება აღმოაჩინეს საქმის მწარმოებლის გლადჩენკოს მოქმედებაში, რისთვისაც იგი სამსახურიდან გადააყენეს.

✦ 25 იანვარს ქუთაისის სატუსაღოდან იგზავნება ათი კაცი კატორგაში: მელიტონ მამალაძე, პავლე ბრეგვაძე, ყარამან ჟორჟიკაშვილი. სარქისა ყაიახოოლი, აბელა ჟანგონიანცი, ასლანა იოსელიანი, ღენტორ დოლაბერიძე, ვასილ შარიქაძე, ვასილა შავგულიძე და ივლიანე ბასილაძე. ამ უკანასკნელს სამხედროსაველე სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა, მაგრამ შემდეგ სასჯელი უვადო კატორღაზე შეუცვალეს.

# პატარა ფელეტონი

„თავ-ჩაცხებულნი“ და „ჩაქოლვილნი“

გუშინ ჩვენი სპარსელი ქართველები მეწვივნენ. საამო საუბარი გვქონდა და უცნაური გრძნობა მეუფლა. თითქო წარსულ საუკუნოებში გადამაფრინეს ამ ჩვენმა არაჩვეულებრივმა სტუმრებმა და გამახსენეს ანდერსენის საუცხოო ზღაპარი „ბედის კალოშები“.

ანდერსენი აგვიწერს ქ. კოპენჰაგენში ერთ ოჯახში თავ-მოყრილ სტუმრებს, რომელნიც თავიანთ ქვეყნის წარსულის მოგონებაში იყვნენ გართულნი. ყველაზე უტკბილეს გრძნობით იგონებდა წარსულს ადგილობრივი მოსამართლე, ძველი დროის პატრიოტების ჩვეულებისამებრ, რომელიც წინ-სვლის უნარი და-

# ფელეტონი

რევოლიუციის ორგანიზაცია თუ მტვრად ქცევა?

ვიქტორ ჩერნოვისა.

(დასასრული *)

საქმე იქიდან იწყება, რომ ექსპროპრიაციის მონაწილენი, ფულის განაწილებისა და დანიშნულების გადაწყვეტის დროს, ითვისებენ განსაკუთრებულ უფლებას, თუ ექსპროპრიაციამ კარგად ჩაიარა, ამ საქმის ჩამდენთ ორგანიზაციაში მეტი მნიშვნელობა ეძლევათ—ცოტად თუ ბევრად ფულის მხრით ორგანიზაცია მათზეა დამოკიდებული. ძველის პირად ანგარიშების ან საორგანიზაციო უთანხმოების ნიადაგზე ადვილი შესაძლებელია ყოველ გვარი მოთხოვნილება ულტიმატუმის სახით. თუ ექსპროპრიაციის მონაწილეთა შორის უთანხმოება ჩამოვარდა, მაშინ საქმე უარეს მდგომარეობაში ვარდება: ან ერთმანეთს აბრალებენ ფულის უმართებულს მითვისებას ან და მორიგებით იყოფენ ფულს, რაც ყველაზე უარესია, ამას რომ დავურთოთ კითხვები იმის შესახებ, თუ ვინ, როდის და სად უნდა გაუწიოს ანგარიში დახარჯულ ფულს და ამასთან ერთად ისიც, რომ ესა თუ ის ჯგუფი ექსპროპრიატორებისა ხშირად ცხარს უჭერს განსაზღვრულ ორგანიზაციას, მაშინ ადვილი გასაგები გახდება, რა მოსდევს ამას: დამამცირებელი გამოძიება საეჭვო პირთა საქციელის შესახებ და სხ... ყოველ შემთხვევაში ამაზე სამარცხვინო ძნელად თუ რამეა წარმოსადგენი.

ექსპროპრიაციის ეპიდემიურ გავრცელებაში არა ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა „უმცირეს წინააღმდეგობის გზით სვლის“ ტენდენციას, რადგან „ბრძოლის საქმის“ რიგიანად დაყენება სიძნელეს წარმოადგენდა, ვინაიდან პრაქტიკული ცოდნა და მოსაზრება არ შესწევდათ და მიდრეკილება „მებრძოლ რაზმების“ მოწყობისადმი მეტად დიდი იყო. ამ „რაზმებს“ რთული და ფართოდ განძრახული საქმე არ ეხერხებოდათ და ამიტომ ისინი წააწყდნენ „უმცირეს წინააღმდეგობის“ გზას ექსპროპრიაციას, როგორც უფრო ხელ მისაწვდენ საქმეს; თავი იჩინა „მებრძოლმა მოქმედებამ“, რომელიც ხშირად იმაშიაც-კი გამოიხატებოდა ხოლმე, რომ მეარტელეს ან ღვინის დუქნის ნოქარს 10 და 8 მანეთს ართმევდნენ, თუ წინააღმდეგობას დაჰხვდებოდნენ, კაცს მოსაკლავადაც არ ინდობდნენ... კვლავ განახლდა რევოლიუციის მტვრად ქცევა, დაქუცმაცება. გაჩნდა სკოლა ისეთ კაცებისა, რომელნიც კაცის სიცოცხლეს ფარად არ აფასებენ და ამ ნიადაგზე ექსპროპრიაციამ სულ სხვა სახე მიიღო; შეიქნა კერძო პირებთან სიარული ფულის გამოსატყუებლად, მუქარის წერილების გზავნა და სხვა ისეთი მოქმედებანი, რომელიც უფრო ვულგარულ შანტაჟს მოაგონებს კაცს.

რაღა გასაკვირალია ამის შემდეგ, რომ ხელობით ქურდებმა „რევოლიუციონერისა“ და „ანარქისტის“ სახელით დაიწყეს თარეში. არც ის არის გასაკვირველი, რომ პოლიტიკურ დამნაშავეთა შორის ეხლა ისეთ ხალხს შეჰხვდებით, რომ გაკვირვების მეტი სხვა აღარა დაგრჩენიათ-რა.

ეხლა ყველასათვის ცხადია, რომ ქალაქ ეკატერინოსლავში უფროს ერთ შემთხვევაში ექსპროპრიაციების ავტორები „სიშჩიკები“ იყვნენ. ტახტის ადა სამშობლო სამსახურთა შორის, სარევოლუციო ორგანიზაციების მოქმედების წასაბაძავად, შექმნილა თავისებური ორგანიზაცია, რომელსაც მიზნად დაუსახავს ხალხის ძარცვა-გლეჯა ექსპროპრიაციის სახით. როცა ეს ამბავი გამოქვეყნდა, როცა მთავრობაც იძულებული გახდა მიემართნა სამხედრო საქმისათვის და ეკატერინოსლავის „სისკის“ განყოფილების წევრნი დაითხოვა, მაშინ საზოგადოებამაც და თვით რევოლიუციონერებმაც თვალი გაახილეს... მაშ. სადამდე მისულა საქმე, რომ ძნელი გასარჩევი გახდა რევოლიუციონერების მოქმედება „სიშჩიკების“ გამოლაშქრებისაგან?

ეხლა იკითხეთ, რამდენია ისეთი შემთხვევა, როცა მძარცველები თავიანთ საგმირო საქმეს სჩადიან რევოლიუციის სახელით? ბევრი, ძალიან ბევრი ამბავი გამოქვეყნდა ამის მინაგვარი. რამდენი სისაძაგლე ხდება, ყველაფერი-კი რევოლიუციას ატყდება თავზე მარტო იმიტომ, რომ მან ძალა ვერ მოიკრიფა და წინ არ აღუდგა რევოლიუციის სტიქიურ მტვრად ქცევას და დაქუცმაცებას! მთელი ძალა ჩვენის მოძრაობისა, რომელიც ყოველს ნაბიჯზე მსხვერპლს ითხოვს, მისი ზნეობრივი პრესტიჟია და სწორედ აქ ედება მას ბოლო. თუმცა ბევრნი, სხვა და სხვა ყალბ პირების მოქმედების გამო, უსამართლოდ აზვიადებენ რევოლიუციის ექსცესებს, მაგრამ მაინც უნდა აღვიაროთ, რომ მათ ძირი გამოუთხარეს ზნეობრივ სიფაქიზეს და ორგანიზაციულ დისციპლინას.

ნუ თუ გასაკვირველია, რომ ეს ასე ხდება? სრულებითაც არა. მეტად მდიდარია მხეცობისა და წამების სურათებით ჩვენი რევოლიუცია და მით მოცული:

* *

მხარე—საქმეში ურუ-მუნჯებისა;
და უსაქმურად—მაღლა მფვირალი,
კეთილში—ბორკილთ და ჯაჭვებისა,
ბოროტებაში—თავისუფალი.

---

აქ სიტყვით თითქო თავს იწონებენ,
საქმით ბავშურად ცხეტებიან,
ძლიერს მჩაგვრელებს შიშით მონობენ,
უძლურთ მამაცად ეძგერებიან!..

---

აქ ბავშვთ რგებიათ მესვეურობა,
მეცხოვანთ ან სძინავთ ან პროგრესს ჰკმობს,
აქ ცრემლი თითქოს იყოს ხუმრობა, (იცინ;
სიცილი—თითქო კვდრებსა გლოვბენ!..

---

აი ამათ ცრემლ მსხვერპლთა მხარე,
ტანჯვა-ბორკილში მარად მკვნესარი,
მხარე დღე-ბნელი, მხარე ბედ-მწარე—
ჩემი სამშობლო აი ეს არი!

განსაცდელის ხანა მეტად გაგრძელდა, გართულდა. რა გასაკვირველია, რომ ნერვებმა ველარ აიტანეს, მოდუნდნენ, გაცვდნენ და თავის მოვალეობას ველარ ასრულებენ? რა გასაკვირველია, რომ ნერვიანობის ატმოსფერაში განვითარდა თავისებური პოლიტიკური იმპრესიონიზმი და, წინ დახედულ და წყნარ მოქმედებისა და ანგარიშის მაგივრად, ხალხი ემორჩილება გულის თქმასა და აპილპილებას? რა-და გასაკვირველია, რომ მოუთმენლობამ ხალხი გაუყენა განმარტოებულ მოქმედების გზას და ღრმა მოსაზრების ადგილი დაიჭირა უსაფუძვლო იმედმა და ფანტაზიამ? რაღა გასაკვირველია, დასასრულ, რომ ნერვები დაჩლუნგდნენ, კაცის სიცოცხლეს ფასი დაეკარგა და რევოლუციონერთა ბანაკში თავი იჩინა საშუალებათა გაურჩევლობამ? რაღა გასაკვირველია, რომ ამ დომხალში შესაფერი ნიადაგი მოიპოვა დემაგოგიამ და დაქვეითებულმა ზნეობამ და რევოლუციის თავისუფალ რაზმს მიეკედლნენ დაბალის ხარისხის ელემენტები?

როცა დახურულ ქვაბში წყალი დუღს, ზევით იკრიბება ჰუპყიანი ქაფი. რუსე-

*) იხ. „მეგობარი“ № 68.

ჰკარგვიათ და გულის მოსაფხანად თავის წარსულს ოქროს შუქით ჰმოსავენ. ამ დროს სახლის დერეფანში ჩუმად შემოიპარა ბედის ღმერთი, ზღაპრული მანდილოსანი, თან ერთი წყვილი კალოში შემოიტანა და კუთხეში დასდო. ამ კალოშების ჯადოსნური თვისება იყო: ვინც ჩაიცვამდა, იმ წამსვე ძველ დროში გადაიფრენდენ. ბედის ღმერთმა ისე მოაწყო საქმე, რომ სტუმრების დაშლის ხანს ეს კალოშები სწორედ წარსულ დროების მონატრულ მოსამართლეს ერგო. როცა ქუჩაში გავიდა, მსაჯული თვალწინ წარსდგა არა თანამედროვე, არამედ ძველი დროის კოპენჰაგენი, იმ დროის ქუჩა, შენობები და ხალხი. ავტორი მხიბლავის ჰუმორით აგვიწერს მსაჯულის თავ-გადასავალს: რამდენი ახირებული ამბავი გადახდა, სანამ თავის ბინას მიაგნებდა.

ანდერსენის ბედის ღმერთობას დღეს ჩვენი სპარსელი თანამემამულენი გვიწევენ. ხოლო მათ ძველ ქართულში ჩვენი ორიოდისათვისაც ფრიად ძვირფასი მაგალითები მოიძებნება. მაგალითად შემდეგი სიტყვები: „თავ-ჩაცხებულნი“ და „ჩაქოლვილნი“. „თავ-ჩაცხებულს“ და „ჩაქოლვილს“ ისინი ისეთ ადამიანს უძახიან, რომელსაც სიცოცხლის ნიშან-წყალი დაჰკარგვია: ასე გვგონებათ, თითქო ვიღაცამ მაგრად თავში ჩასცხო და სამუდამოდ ჩაჰქოლა ეს უბედური სულდგმულიო.

კარგად თუ დაუფიქრდებით ამ სიტყვებს, უეჭველად დამერწმუნებით, რომ ეს სახელწოდებანი არა თუ მარტო ადამიანთათვის, არამედ სხვა-და-სხვა მოძღვრებათათვისაც ვარგანან. მაგალითად, ჩემის აზრით, ერთობ „თავ-ჩაცხებულ“ სოციალ-დემოკრატიულ მოძღვრებაში არის ერთი ფრიად „ჩაქოლვილი“ ცნება—„მიწის მუნიციპალიზაცია“. როცა ადამიანს თავში ჩასცხებ, იგი ისე გამობრუვდება, რასაკვირველია, რომ თავის პიროვნების გრძნობა ეკარგება, გული წაუვა და თავისი თავის შეგნების მაგიერ მხოლოდ „გარეშე პირობების“ ბზუილი, „კაცთ ჟრიამული“ ესმის. იმ წუთში ადამიანი აღარ ადამიანობს, ცხოვრების უმნიშვნელო და უსიცოცხლო ნაწილაკია, ისეთი მკვდარი რამ ნივთია, რომელიც ადვილად შეგიძლია ხელთ იგდო და, რუსების თქმისა არ იყოს, სარივით ლობე-ყორეს შეუდო.

„ცხოვრების ჩარხი ჩვენს ნებაზე არა ტრიალებსო“,—გვეუბნებიან სოციალ-დემოკრატები: „იგი საკუთარ კანონის ღერძზე ბრუნავს, რომლის წინაშე ცალკე ადამიანი უძლურია. ცხოვრებას ადამიანი თავის პიროვნების კვალს ვერ დააჩნევს და, როგორც სოლი ურმის თვალში, ისიც ისტორიულ უცილობელ კანონის ჩარხში მხოლოდ შიგ გაჩხირული ნაწილაკია“. საკვირველიც არ არის ამის შემდეგ, რომ ამ „თავ-ჩაცხებულ“ მოძღვრების მკვდარ საშოდან დაიბადა ასეთი „ჩაქოლვილი“ ბარტყი, როგორიც „მიწის მუნიციპალიზაციაა“.

მიწა ხალხს უნდა გადაეცას, რომელიც შემდეგ იმას იჯარით გასცემს,-ამბობენ ისინი. ვინ არ დაგვეთანხმება, რომ მსუქანი მოიჯარადრე უმსუქნეს ლუკმას ჩაიგდებს ხელში. რასაკვირველია, „თავ-ჩაცხებული“ სოციალ-დემოკრატი ვერ წინააღუდგება იმ ისტორიულ კანონს, რომელიც ისედაც მსუქანს უფრო ასუქებს და ისედაც „ჩაქოლვილ“ ღარიბ გლეხს უფრო ჩაჰქოლავს. ეს არის სოციალ-დემოკრატიული უწყალო ბედის წერა.

რა შეუძლიათ მერე ამ წუთი-სოფელში სოციალ-დემოკრატებს, რით უნდა აღნიშნონ ამ ქვეყნად თავიანთი კვალი? ისინი გასწევენ უსიცოცხლო, მკვდარ-განყენებულ სარდლობას, ისეთ ულმობელ ღენერლობას, რომელიც ბრძოლაში არ ერევა, მარქსის მოძღვრების საუკუნო ყინულით მოსილ მწვერვალზეა დაბძანებული და იქიდან გულ-ცივად უცქერის ისედაც „ბურჟუათა“ „გაბურჟუებას“ და ისედაც „პროლეტართა“ „გაპროლეტარებას“.

მდაბიურად რომ ვთქვათ, სოციალ-დემოკრატები მხოლოდ სეირს უყურებენ, უცხოეთელი კორესპონდენტები არიან, რომელნიც, კლდე-სიმაგრეებს ამოფარებულნი, შორიდან უცქერიან მეომართა ბრძოლას, რათა შემდეგ ბურჟუათა და პროლეტართა საინტერესო შეხეთქების ამბავი ქვეყანას ამცნონ.

ნუ თუ, მკითხველო, არ იწამებ ამის შემდეგ, რომ სოციალ-დემოკრატები მათი მოძღვრებით „თავ-ჩაცხებული“ და „ჩაქოლვილი“ მეომრები არიან? **ი. ნაკაშიძე.**

## ყაზანის ცხოვრება

კიდევ უნივერსიტეტის გაჩხრეკა.-რექტორის თანამდებობის აღმასრულებელის პროტესტი.-პოლიციელების უვიცობა.

რაც მეტი დრო გადის, მთავრობა მით უფრო მეტად სცდილობს, გამოასალმოს სამუდამოდ უნივერსიტეტი სისხლით მოპოებულ ავტონომიას. რაკი ერთხელ გათამამდა პოლიცია, თავისუფლად დაექანა გალიპულ გზაზედ, და დღეს მოურიდებლად დათარეშობენ მეცნიერების ტაძარში. საკმაოა უმნიშვნელო მიზეზი, რომ უნივერსიტეტში შემოეჭრას პოლიცია და უბოდიშოდ გაჩხრიკოს იგი: მეცნიერების ტაძარი სავსებით გადაიქცა პოლიციის განყოფილებად.

ყაზანის უნივერსიტეტს ახალი წელიწადი ყველაზედ პირველად პოლიციელებმა მოულოცეს. იმ დროს, როდესაც ახალ წლის მოლოდინში, ყველა ტკბილ ძილს იყო მიცემული, ეს ჩვენი „წესიერების დამცველნი“ სავიზიტოთ მოეჩქარებოდნენ უნივერსიტეტისკენ. სწორედ დილის ექვსი საათი იქნებოდა, როდესაც უნივერსიტეტში შემოიჭრა თექვსმეტი კაცისაგან შემდგარი პოლიციელების ბრბო, პოლიცმეისტრის თანაშემწის და ბოქაულის წინამძღოლობით. ვინაიდან უნივერსიტეტის რექტორი, რომელიც ეხლა პეტერბურგში იმყოფება, ვერა ნახეს, პოლიციელები შეუვარდნენ რექტორის თანამდებობის აღმასრულებელ პრივატ-დოცენტს ივანოვსკის და უბრძანეს, დასწრებოდა ჩხრეკას. ივანოვსკი რექტორზედ უფრო მაგარის ხასიათის კაცი აღმოჩნდა: მან სასტიკი პროტესტი განუცხადა პოლიციას და მტკიცე უარი მიახალა ავტონომიურ უნივერსიტეტის გაჩხრეკის დროს დასწრებაზე. რა თქმა უნდა, პოლიციელები ამით არ დაკმაყოფილდნენ. ივანოვსკი მაინც არ გაჰყვა პოლიციელებს, გაჰყვნენ მხოლოდ უნივერსიტეტის ეკზეკუტორი და მდივანი ა. სოლოვიოვი.

უმთავრესი ყურადღება გაჩხრეკის დროს მიაქციეს სტუდენტების სამკითხველოს. ეს სამკითხველო მოწყობილი იყო ბუნების მეტყველების პირველ სემესტრის სტუდენტების ინიციატივით და მოთავსებული იყო, რექტორის ნებართვით, მეოთხე აუდიტორიაში. სამკითხველოს შკაფში ელაგა ძველი გაზეთები, წიგნები და პატარა ბროშიურები, რაც შეადგენდა წიგნთ-საცავს. გაზეთები პოლიციელებმა სულ გადმოაქოთეს და რაკი საწინააღმდეგო ვერა იპოვნეს რა, ხელი მიჰყვეს წიგნებს. ვერც იქა ნახეს საკბილო. მაგრამ ახალ წელიწადს რომ ხელ-ცარიელნი არ წასულიყვნენ, დაბეჭდეს და წაიღეს 91 ცალი წიგნი. ამასთან აღგვითქვეს, ამ წიგნებს განსახილველად გადავცემთ ჟანდარმთა სამმართველოსაო. გარდა ამისა, ჟურნალ „Перевалъ“-ის მეორე ნომერმა პოლიციელებთა შორის დიდი მსჯელობა გამოიწვია, რაც ამტკიცებს მათ სრულ უვიცობას. ერთი ამტკიცებდა რომ ეს, ცხადია, საზღვარგარეთელი, არალეგალური გამოცემააო ვერ დაარწმუნეს, რომ ჟურნალი ლეგალურად გამოდის მოსკოვში. წიგნების გადათვალიერებას მოანდომეს საათ ნახევარი, რის შემდეგ დაეშვნენ ქვეითა სართულში და გაუჩხრიკეს მოსამსახურეებს ქალალდები. ასეთი იყო პოლიციელების „ვიზიტი“ ყაზანის უნივერსიტეტში. ჩვენდა სასიამოვნოდ, ჩვენის შკაფისათვის ხელი არ უხლიათ, თორემ, რა თქმა უნდა, ყველა ჩვენს წიგნებს სამუდამოდ გამოგვასალმებდნენ.

განა ამის შემდეგ შეიძლება სთქვას ადამიანმა, რომ უნივერსიტეტს ავტონომიის ნასახი შერჩენიაო?! საინტერესოა, რას ფიქრობენ აქაური ესდეკები, რომელნიც პრტყელ-პრტყელ სიტყვებს ხარჯავდნენ: უნივერსიტეტის კედლები რევოლიუციონურ მიზნისათვის უნდა გამოვიყენოთო. შესაძლებელია ასეთ პირობებში უნივერსიტეტში თავისუფლად მოქმედება? რასაკვირველია, არა. მით უმეტესად, რომ ეხლა თვით ჩვენც, სტუდენტებს, უბილეთოდ არ გვიშვებენ უნივერსიტეტის შენობაში. მაგრამ აქაურ სოციალდემოკრატების პოლიტიკა დათმობის პოლიტიკაა, ოპორტიუნიზმია და მეტი არაფერი.

**ილიკო გმელ-მინდორელი.**

## ცრუელს მოკლე ფეხები აქვს!

**(პასუხის პასუხი «გზის» ასოთ-ამწყობებს)**

ამას წინად გაზეთ «ისარი»-ს ერთ-ერთ ნომერში ჩვენ წერილი მოვათავსეთ შესახებ შობა-ახალ წლის წინა დღეს მუშაობის აღკვეთისა. ბრალსა ვსდებდით უპირველესად «ტიფ. ლისტოკ»-ის ასოთ ამწყობებს, რადგან პირველად იმათ დაარღვიეს გაზეთებზე მომუშავეთა წარმომადგენლების მიერ დადგენილი შობა-ახალწლის წინა დღეს მუშაობის აღკვეთა. შემდეგ ამას მიჰყვნენ გაზეთ «კავკაზ»-ისა და «გზა»-ს ასოთ-ამწყობნიც. რამდენადაც პირველებსა ვდებდით ბრალს ზედმეტ ნომრის გამოშვებისათვის, იმდენადვე მეორესა და მესამე გაზეთის ასოთ-ამწყობებს. ამაზე პასუხი გაგვცეს მარტო «გზა»-ს ასოთ-ამწყობებმა («საყვირი» № 1). რათა მართლა მკითხველი საზოგადოება შეცდომაში არ შევიდეს «გზის» ასოთ ამწყობების საპასუხო წერილი სწაკითხვით, ამიტომ ურიგო არ იქნება გავარკვიოთ, სამართლიანად მართლულობენ თავს თუ არა.

ამხანაგი ასოთ-ამწყობები გვეუბნებიან: მართალია, გაზეთებზე მომუშავეთა წარმომადგენლებმა დაადგინეს, შობა-ახალ წლის წინა დღეს არ უნდა გვემუშავნაო, მაგრამ რაც შეეხება ზედ-მეტი ნომრის გამოშვებას, ამაზე ჩვენ არ გვიმუშავნია, ეს რედაქციის საკუთარი სურვილი იყოო. თუ მოისურვებს და მუშებსაც საკმაოს იშოვნის, შეუძლიან დღეში ხუთი ნომერიც გამოუშვასო. ახლა შევეკითხებით: მაშ რაღად იყო საჭირო წარმომადგენლების სჯა-ბაასი და მათი დადგენილება მუშაობის აღკვეთის შესახებ, თუ კი ცხოვრებაში ვერ გაატარებდნენ? იქნება მარტო იმიტომ ითათბირეს, რომ ჩვენ არ გვამუშავონ ამ დღეებში და სხვას ვისაც უნდა იმუშავოსო! და განა ძალით ვისმეს შეუძლიან წაართვას მუშას შესასვენებელი დღე? ეს ხომ მისი სრული საკუთრებაა? აქ გაუგებარია: წარმომადგენლებმა გადასწყვიტეს ის, რომ ამ დღეს გაზეთებზე მუდმივ მომუშავეს არ ემუშავნა, თუ მარტო ის, რომ ხსენებულ დღეს გაზეთები არ გამოსულიყო? ამაზე კიდევ იმათგან ველით პასუხს, რადგან ჩვენ ვერ გამოგვირკვევია. საქმე იმაშია, თუ წარმომადგენლებმა გადასწყვიტეს, ამ დღეებში მუშაობა ზედ-მეტად ჩაგვეთვლებაო, მამ მართლა, თუ თქვენ არ გიმუშავნიათ, მაშინ იმათ ხომ მაინც ჩაეთვლებად ზედმეტად, ვინც იმუშავეს და ზედ-მეტი ნომერი გამოუშვეს?

საკვირველია, საიდან გააჩინა ასე უცბად თქვენმა რედაქციამ ის «საკმაო მუშები», რომელთაც იმუშავეს. სად არიან ახლა ის მუშები, მუშაობენ სადმე თუ უსაქმოდ დაიარებიან? თქვენც ხომ კარგად იცით, რომ იგინი ამ ჟამად ამხანაგობის სტამბაში მუშაობენ და ნეტავ რად დაგჭირდათ ასეთი სიცრუის თქმა, რომ «ზედ-მეტ» მუშებათ მონათლეთ? თქვენცა და ჩვენც ხომ კარგად ვიცით, მოციქული რაღათ გვინდა! აქ აშკარადა სჩანს საქმის ვითარება, ვინ არის მტყუანი ან მართალი და ამიტომ სრულიად მეტი იყო თქვენი გამოსარჩლება, თუ კი თქვენ არ იმუშავეთ. ჩვენ მხოლოდ საქმე გვაქვს მარტო იმათთან, ვინც იმუშავეს ზედ-მეტი. ხოლო თქვენ კი იმაში გედებათ ბრალი, რომ თქვენივე თვალით უყურებდით თქვენის წარმომადგენლის მიერ დადგენილების დარღვევას, და ამის შემდეგ კიდევ გაკადნიერდით და თავი იმართლევით; აგრეთვე გაამართლეთ ის ამხანაგებიც, ვინც ზედ-მეტი იმუშავეს და საათების ფული ჩაიჩხრიალეს ჯიბეში. განა თქვენებურად ამას ჰქვიან: თუ რედაქციამ «საკმაო მუშები» იშოვნა, შეუძლიან დღეში ხუთი ნომერიც გამოუშვასო? ჰაი, ჰაი, რომ ხუთს კი არა, თუ მოინდომა ათსაც ადვილად გამოუშვებს, თუ კი ამნაირი მუშები იშოვნა...

აი, თავის მართლებაც ასეთი უნდა! ნეტავი რისათვის გაისარჯნენ და ხმა აღიმაღლეს, თუ კი ამაზე მეტი საბუთი არ მოებოვებოდათ!

**«მეგობრის» ასოთ-ამწყობნი.**

## პროვინციის ცხოვრება

**თიანეთი.** თიანეთი ერთად-ერთი კუთხეა მთელ კავკასიაში, სადაც ჩვენმა სოციალ-დემოკრატებმა ვერ მოიკიდეს ფეხი, თუმცა კი თავიანთი ქსელი აქაც გააბ-გამოაბეს და სხვა პარტიების დამცირებით მუდამ ცდილობენ აღამაღლონ თავისი თავი ეჩვენონ ქვეყანას უმანკო ანგელოზებად. ნამეტნავად ჯავრი სჭირთ ფედერალისტებისა. რა ხმები გინდათ ფედერალისტებზე, რომ არ ავრცელებდნენ ხალხში: „ფედერალისტები მდიდრების პარტიაა,—ამბობენ ისინი.—ხალხს ჰყვლეფავენ (ხომ იცით ანდაზა: „ჩემი არ გითხრაო“). მღვდლები, თავადები ჰყავთ თავიანთ წევრებად. დღეს გამოჩნდნენ, წინად მაგათი ხსენება არ იყო. ჩვენი პარტია კი ვინ იცის, რა დროიდან მომდინარეობსო“. ამაზე თუმცა ფედერალისტები უპასუხებდნენ, რომ პარტიის სიძველე-სიბერე, უძლურებას ნიშნავს და, სიკეთედ არ ჩაითვლება, მაგრამ გლეხებიც არა სტოვებენ უპასუხოდ: „ჩვენ ერთი თოფი გვქონდა, ძველად დიდად განთქმული სიათი; ათი თამბა იქნება, რაც ჩვენ ოჯახშია, და დღეს ქანდარად გვიდგა ქათმების მოსასვენებლად; ათასი რომ სხვა მომიტანოთ, ერთს ბერდანას არ მოგცემ, თუმცა ბერდანა ეხლა-ხან გაჩნდაო“, ამბობს ერთი. მეორე ახალს ცხენს ასახელებს. მესამე ამბობს: „ჩვენი სოფლის პირას ერთი დიდი ლოდი ძევს, ვინ იცის, რამდენი ხანია, მაგრამ იმას არავისთვის რა ურგიაო“, და სხვა და სხვ. სოციალ-დემოკრატები მაინცა და მაინც, როგორც იტყვიან, „შხს“ არ იტეხენ, განაგრძობენ თავიანთ ქვეყნის მაცხოვნებელ მოძღვრებას და რომ უფრო ბევრი მოიმხრონ, ესე იგი, ბევრი კენჭი იშოვნონ, ერთნაირი ხერხი მოუგონიათ: დამე, როცა „პროპაგანდას“ გაათავებენ, ანთებენ სანთლებს და აფიცებენ გლეხებს ამ გვარად: მრწამს შეუცვლელად და სამუდამოდ მხოლოდ ერთად-ერთი სოციალ დემოკრატია და გარეშე მისა სხვა არაფერი. გაუწყრეს წმინდა კოპალე ლაშარის ჯვარი, ჭაჭახის ჯვარი, ქვაბი და საყდარი, სამას-სამოც-და-ცხრა წმინდა მირონი, ვინც სოციალ-დემოკრატები ფედერალისტებზე გაცვალოსო“, და სხვა. სხვა ძალა რომ აღარ ახლავთ, ერთად-ერთ საშუალებად ხალხის ხელში დასაჭერად ეს მოუგონიათ. რა თქმა უნდა, როცა „კენჭობის“ დეპუტატების დასახელების დრო დადგება, ხალხს ფიცს მოაგონებენ. მხოლოდ ეს რაღაც თავიანთ მოძღვრების წინააღმდეგ მოქმედებად მისახნევია—ერთ და იმავე დროს წმინდანებს უარ-ჰყოფენ და იმავე დროს ფიცსა და სანთლებს კი ებღაუჭებიან... [illegible] განა ამ ვაჟბატონების უღმერთობისა ეს არის მხოლოდ მაგალითი? როგორც პროლეტარების პარტიას, თქვენც კარგად უწყით, იმათ მიწასთან საქმე არა აქვთ, მაგრამ მიწა, როგორც საკითხი შეიტანეს თავიანთ პროგრამაში მხოლოდ იმიტომ, რომ გლეხების უმთავრესი ჭირ-ვარამი მიწაა, და ვინც მიწას არ დაჰპირდება, ის ნურც ელაპარაკება. სანთლების საქმეც ასეა. რადგან ატეიზმის ქადაგებამ ფეხი ვერ მოიკიდა, ხალხის ღვთის-მოყვარეობა სხვა გზით გამოიყენეს. **მოკეთე.**

**ქ. სიღნაღი.** აბუჩად აგდებული მცხოვრები, წელში მოხრილი რეაქციის სიმძიმით აბუჩად აგდებულია აგრეთვე დილიჟნების პატრონებისაგანაც. სიღნაღიდან ტფილისამდე თითო მგზავრს ახდევინებენ 3 მან., ბარგში ფუთზე 80 კაპ. ამას, ვინ ჩივის რომ უფრო უსინიდისოდ არ იქცეოდნენ. ერთს ბილეთს ორჯელ ასაღებენ, ერთის მგზავრის ადგილს ორ კაცზე ჰყიდიან. და რადგან დილიჟანში უწესებულ რიცხვზე მეტი არ მოთავსდება, თვით მგზავრებს მოსდით ერთმანეთში ხუში და დავიდარაბა. ხოლო მედილიჟნე რჩება დაუსჯელი და, სამაგიეროდ, სამი მანეთის მაგიერ, ექვს მანეთს იტოვებს ერთის მგზავრის ადგილას. და ამისთანა თინებს შეჩვეულია მეტადრე ესრედ წოდებული „მალაკნის დილიჟანი“. მისი ხმის გამცემი არავინაა. შენის ძალით გაუმკლავდე, „ბუნტოვშჩიკს“ დაგიძახებენ, სამართალს მიმართავ, სადაა დღეს სამართალი! მაგრამ მგონი რომ ერთხელაც არის ფიალა აივსება! ამ წერილის მიზანია გავაფრთხილოთ მედილიჟნეები, იქნება დროით გონს მოვიდნენ. **ნიკ. ნადირაშვილი.**

**იმერეთი.** 10 იანვარს დიდი თოვლი მოვიდა იმერეთში. თან სუსხიანი ქარ-ქარი ჰქროდა. ერთ არშინამდე თოვლი დასდო. ისედაც მოუსავლობით დაქვეითებულ ჩვენ კუთხეს ასეთი სუსხიანი ზამთარი დიდ გაჭირვებაში ჩააგდებს. ხალხმა არ იცის თავი როგორ გამოიკვებოს და ეხლა ასეთ ზამთარში რა უნდა უყოს პირუტყვს?! ასი კონა ჩალა 7—8 მანეთად იყიდება ეხლა და ისიც საშოვნელი არ არის. თუ ასეთმა სუსხმა გასტანა, მოსალოდნელია, რომ მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი იძულებული გახდება მასაზრდოებელი ხარ ძროხა მეოთხედ ფასად გაჰყიდოს და მომავლისათვის პროლეტარიელი დარჩეს. **ოფიშქვითელი.**

## ქართული გრამატიკა
### მოსე ჯანაშვილისა.

(შემდეგი *)

გრამატიკის თითქმის მესამედი ნაწილი ზმნებს უჭირავს და ეს არც გასაკვირველია: არავის ისე სავსებით არ მოუყვანია გრამატიკაში ეს ადგილი, როგორც ბ-ნ ჯანაშვილს. აქ შეხვდებით თითქმის ყველა მარტივ და რთულს ფორმას. ყურადღებას იპყრობს აგრეთვე კლასიფიკაციაც. ბ-ნ ჯანაშვილის შვენიერად აუღრია ზმნების ალღო, რასაც მოწმობს მის მიერ ქართული ზმნების სამართლიანი დაყოფა: ა) მოქმედება გარდამავალად, ბ) მოქმედება გარდაუვალად და გ) ვნებითი ზმნის მაგვარად. ამის საწინააღმდეგოდ არა ითქმის რა, მხოლოდ ბ-ნ ჯანაშვილს ხშირად მოჰყავს ბევრი უხერხული ფორმაც, მაგ. არა მგონია, რომ როდესმე ხმარებულიყოს ან დღეს იხმაროს ვინმემ ფორმა კვლავსხმით გარდასვლითი ვაწერინებინებინებ (იხ.-გვ. 52) ვიშენებინებინებინებ და სხვ. უხერხულია აგრეთვე ფორმები: მომქონებოდის, მოგქონებოდეს მოჰქონებოდეს, ან მომქონებელი, მომტანებელი და სხვა მრავალი, რომელთა სათითაოდ ჩამოთვლა ნამეტანი შორს წაგვიყვანდა (იხ. გვ. 52, 118.) აგრეთვე გაუგებარია თერმინები „მოქმედების დასაწყისი“, „განგრძობა“ და „დასასრული“; ვერ გამიგია, მაგალითად, რატომ უწოდებს ავტორი დასაწყისს ფორმას „ვკაცდები“ და განგრძობას კი ფორმას „ვკაცდებოდი“ (იხ. გვ. 54.)

თუმცა, როგორც უკვე შევნიშნეთ ბ-ნი ჯანაშვილის შრომაში ზმნების ნაწილი ბევრად უფრო სრულია, მაგრამ მასაც ბევრი რამ არსებითი აკლია; მაგალითად,

*) იხ. «ისარი» № 8.

---

თის ცხოვრება სწორედ ეს ქვაბია: მას დიდი ცეცხლი აქვს შეკეთებული და წყალი ისეთის ძლიერებით დუღს, რომ ამ „ტალახმა“ არავის უნდა გააკვირვოს. რევოლიუციის ბანაკის ზღვა, ისეთი დიდია როგორც ყოველთვის და ყოველგან, რომ შეუძლებელი იყო განაპირა რაზმებში ხარისხის მხრით არ დაქვეითებულიყვნენ. როცა სარევოლიუციო იდეით იჟღინთებიან არა მარტო გულით ფაქიზნიო და გონებით მახვილნი, არამედ ისინიც, რომელნიც „ქარს მოაქვთ“, ამ იდეის გარშემო იკრიბებიან ძველის აზრებით გაჟღენთილნი და სოციალიზმის უმაღლეს და ახალ მორალით ოდნავ „გაკაწრულნი“. სასაცილოა, რომ კაცი ამ გარემოებამ შიშსა და სასოწარკვეთილებაში ჩააგდოს ნაკლებ სასაცილო იქნებოდა ის, რომ ამ გვარი მოვლენა დაუკავშიროს ვინმემ რევოლიუციის იდეის არსებას. სასაცილო იქნებოდა, რომ, „რუსეთის ძველის ისტორიის მსხვერპლთა“ და ძველის ცხოვრების ზერელ-ქვერე რევოლიუციონერების გამო პასუხის მგებელი რევოლიუცია ყოფილიყოს.

ეს აუცილებელი თანამგზავრია რევოლიუციის მსვლელობისა და არავის არ უნდა აკვირვებდეს. აუცილებლობა ამ მოვლენათა კაცმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეიგნოს და ანგარიში გაუწიოს. ამით იმის თქმა არ მინდა, რომ კაცი არ უნდა ეცადოს მის შესუსტება გაქარწყლებას, ხოლო თუ შორეულ რაზმებში ამ მოვლენათა შესუსტება არ შეიძლება, უახლოვესი უნდა დავიფაროთ გადამდებ სენისაგან. მარტო იმისთვის, რომ ყველა ეს ორგანიული შედეგა რევოლიუციის პროცესისა, ვალდებულნი ვართ ჯეროვანი ყურადღება მივაქციოთ მას.

რაც უფრო ძნელი ხდება საპარტიო ორგანიზაციის მთლიანობითა და თანხმობით მოქმედება, მით უფრო მოვალეა ყოველი წევრი პარტიისა თავ დავიწყებით ემსახუროს ორგანიზაციის გამაგრებას. მიუხედავად ამისა, სწორედ ამისთანა დროს უფრო ადვილად იჩენს ხოლმე თავს პარტიის პერიფერიაში უკმაყოფილება, ფრონდი, „ოპოზიცია“ სხვა და სხვა სახისა, რომელსაც საერთო არა ფერი აქვს იდეიურ განხეთქილებასთან.

თანამედროვე ხანა სწორედ ისეთია, როცა ბრძოლა მწვავდება და ძლიერდება, როცა რეაქცია სცდილობს დაარღვიოს ჩვენი ორგანიზაცია, როცა ჩვენ ვალდებულნი ვართ უფრო მჭიდროდ შევკავშირდეთ და ჩვენს გათამამებულ მტერს იმ მხრიდან მოვუაროთ დასამარცხებლად, საიდანაც ის არ მოელის. ამისთანა დროს მეტად მავნებელი არის პარტიაში მომქმედ დამქსაქსავი ძალები, ე. ი. ისინი, რომელნიც „უმცირესი წინააღმდეგობის“ და რევოლიუციის მტვრად ქცევის გზას ესწრაფებიან. ყოველგვარი წვრიმალი „ოპოზიცია ეხლა არა თუ უადგილოა, მოკლებულია ჰკუასა და წინასწარ მხედველობას.

ბ-ნ ჯანაშვილს არა აქვს არცერთი სიტყვა მიმართულების მაჩვენებელი ნაწილაკების შესახებ (ბ-ნ ხუნდაძით თავსართები), რომლებზედაც დამოკიდებულია ყოველი ზმნის აზრი და მნიშვნელობა. მიმართულების მაჩვენებელი ნაწილი ზშირად სრულიად სცვლის ზმნის დედა-აზრს, ანუ, სწორედ რომ ვსთქვათ, ზმნის მიმართულება, დანიშნულება და, ხშირად, მთელი მისი ფუნქციაც, დამოკიდებულია მიმართულების მაჩვენებელ ნაწილზე. მაგალითისათვის ავიღოთ სახელზმნა „ნახვა“: მიმართულების მაჩვენებელ ნაწილაკი „შე“ აძლევს ამ სახელზმნას სულ სხვა აზრს; „ნახვა“ ნიშნავს ხილვა-ს, „შენახვა“ კი—რისამე მიმალვას ერთ რომელსამე ადგილას დაგულებას, მიმართულების მაჩვენებელი ნაწილი „მო“ აძლევს მას დაკარგულის პოვნის აზრს. ამ მიმართულების მაჩვენებელი ნაწილაკების მნიშვნელობა ორკეცდება იმით, რომ ისინი, მარტო ვენ რა ზმნებს, ხშირად ავსებენ დრონაკლ ზმნათა ფორმებს; მაგალითად, ზმნებისთვის წა-ღებ-ა და მო-ტან-ა ქართულ ენას სრულებით არა აქვს აწმყო და ნამყო უსრული, და აი სწორედ ამ შემთხვევაში დიდ სამსახურს გვიწევს მიმართულების მაჩვენებელი ნაწილაკები, რომლებიც მართავენ ზმნას „მაქვს“. ამნაირად მიმართულების მაჩვენებელი ნაწილაკები: და, მო, შე გა და სხვები გვაძლევს საშვ ლებას გავაკეთოთ ისეთი ფორმები, როგორიცაა: და-მაქვს, მომაქვს, მი—მაქვს, გა—მაქვს, და—მქონდა, მი—მქონდა, მო—მქონდა, შე—მქონდა, გამო—მქონდა, და სხვ.

ნივთის ახლობელ ადგილიდან შორეულზე გადატანის მოქმედების აღნიშვნას ჩვენ ვხედავთ მხოლოდ მიმართულების მაჩვენებელი ნაწილაკის აღ-ისგან შემდგარი ზმნისა და მიმართულების მაჩვენებელი ნაწილისავე წა—ს საშვალებით. მაგ. „აღ“ არის მიმართულების მაჩვენებელი ნაწილაკი, რომელიც მართავს ზევით, მაღლისკენ მიმართულ მოქმედებას (მაგალითები: აღსდგა, აღვიდა, აღხდა). მას დაერთვის მოქმედების გვარის ზმნათა დაბოლოება—„ება“ და ისახება ფორმა აღ—ება, რომლისაგან ენას შეუქმნია, ჩვენიდან სხვაგან რისამე გადატანის მოქმედების აღსანიშნავად, მეორე მიმართულების მაჩვენელი ნაწილაკის „წა“-ს საშვალებით, სახელზმნა (მოქმედების სახელი) წა-ღება. ამნაირად სიტყვა წა ღება შედგარია ორის მიმართულების მაჩვენებელ ნაწილისაგან „წა“—სა და აღ-ისაგან.

მიმართულების მაჩვენებელი ნაწილაკების გამოუყოფელად შეუძლებელია ქართული ზმნის (მოქმედების სახელის) ძირითად თვისებათა შესწავლა. მიმართულების მაჩვენებელი ნაწილაკი ჰგავს მხედარსა, ურომლისოდ კარგი ბედაური უქმია. ბ-ნი ჯანაშვილი კი, ისე როგორც ყველა ქართველი გრამატიკოსი, იღებს ზმნებს მიმართულების მაჩვენებელ ნაწილაკთა გამოუყოფელად. *) სწორედ ამიტომ, ჩვენის აზრით, ავტორს არა აქვს სწორი წარმოდგენა ზმნისაგან სვლა წარმოებულ ფორმებზე, მას იგი არ მოუთავსებია დრო-ნაკლ ზმნათა რიცხვში, რადგან ვერ შეუნიშნავს, რომ ამ ზმნას ახალ ქართულში ხმარებული ფორმები შევსებული აქვს ზმნისაგან „დენა“ (დინება) იხ. თ. ჟორდანიას გრამ. გვ. 64, 3) ზმნა, აღმნიშვნელი მოძრაობისა...), მაგალითად, აწმყოსა და ნამყო უსრულისთვის imperfectum) ჩვენ ვხმარობთ ფორმებს: ვდივარ, დიხარ, დის, ვდიოდი, დიოდი, დიოდა (აგრეთვე ვიდოდი, ხვიდოდი, ვიდოდა), ხსნებულ ფორმებს ამ შემთხვევაში მართავს მიმართულების მაჩვენებელი ნაწილაკები: მი, მო, შე, გა, წა და სხვები.

ნამყო სრულში სვლისაგან წარმოებულ ფორმებს: ველ, ხველ—გარდა, გვაქვს აგრეთვე ფორმები: ვედი, ხიდი, ვიდა და სხვ., მყოფადში კი იხმარება კანონიერად წარმოებული ფორმები ვალ, ხვალ, ვალს, მიმართულების მაჩვენებელ ნაწილაკთა წინამძღოლობით. ფორმა ვალ ჩვენთვის ფრიად საინტერესოა, რადგან მასში ადვილია გამოიცნოს კაცმა არსებობის აღმნიშვნელი ვარ, რომელსაც მართავს მიმართულების მაჩვენებელი ნაწილაკები და აძლევს მას მყოფადის მნიშვნელობას ზმნისაგან სვლა **) (ვალ, თითქო შელღვა გადაყალიბდა და გაკეთდა ვლა, სვლ—სლვა). ბ-ნ ჯანაშვილს ერთმანეთში აქვს არეული ფორმები ზმნებისაგან სვლა და რება, ისე რომ კაცი ვერ გაიგებს, რაშია საქმე.

**ი. აბულაძე.**

(დასასრული იქნება)

*) ამ მოვლენას სრულიად უყურადღებოდ სტოვებდნენ ჩვენი პროფესორებიც. მიმართულების მაჩვენებელი ნაწილაკის მნიშვნელობა იმდენად ძლიერია, რომ იგი ცალკეც ხშირად იხმარება ხალხურ ენასა და ძველ მწერლობაში, ნამეტურ იმ შემთხვევაში, როდესაც იგულისხმება რაიმე მოძრაობის აღმნიშვნელი მოქმედების ფორმა. დღესაც ვლაპარაკობთ: წადი, წა; გადი, გა; მო, რაც მოხდეს. აქ მო, მომე, შემო, გამო, წამო და სხვა. ამგვარისავე მნიშვნელობით ხმარობენ მიმართულების მაჩვენებელ ნაწილაკებს მე-XII საუკ. მოლექსენი რუსთაველი და ჩახრუხაძე. ბ-ნი ჩუბინაშვილი ერთ ადგილას სამწუხარო შეცდომას სჩადის, როცა ლექსში: „საქმენი მომხვდეს მო—რანი“, ჰკითხულობს: „საქმენი მომხვდეს მე-რანი“. (იხ. ტ. 1302,1) აშკარაა, რომ აქ არის: „საქმენი მომხვდეს მო რანი“. ამგვარადვე სცდებოდა პროფ. მარრიც, რომელმაც ამ შვიდი წლის წინად უნივერსიტეტის აუდიტორიაში ჩახრუხაძის შესახებ წაგვიკითხა ლექცია, რომელშიაც მას მოჰყავდა ანალოგიური ადგილები ჩახრუხაძისა „ხოტბისა“ და „ვეფხისტყაოსნიდან“. პროფესორი სამართლიანად ჰხედავდა მსგავსებას ჩახრუხაძის „ხოტბის“ ადგილსა: „ცისკრობს მოხედვა, მოკლის მო ხედ ვა“ და „ვეფხის-ტყაოსნის“ შემდეგ ადგილს შორის: „ფატმან სთქვა: მომკლავს უცილოდ ტანი ალვისა მო ხისა“, მაგრამ იგი სიტყვებში „მო-ხისა“ ჰხედავდა სიტყვას „მოხ“-ს, აგრევე სიტყვებში: „მო ხედ ვა“—სიტყვებს: «მოხ ედვა». მხოლოდ ჩვენ მიერ მოყვანილმა მაგალითებმა დაარწმუნა პროფესორი თავის შეცდომაში. ეს მაგალითები მოყვანილი აქვს პატივცემულ პროფესორს თავის შრომის «тексты и розысканія по арм.-груз. филологіи», вып. IV, С.-Петербургъ, 1902 წ. 64—65 გვერდებზე. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პროფესორი მარი მიმართულების მაჩვენებელ ნაწილაკს უწოდებს «Предлогъ»-ს, რაც არ შეჰფერის მიმართულების მაჩვენებელ ნაწილაკთა ბუნებას, (ibid, 6 ). აგრევე უხერხულია ბ-ნი ჟორდანიას მიერ ხმარებული თემინი თანდებული სა მნებო მიმართულების მაჩვენებელ ნაწილაკთათვის («ქართული გრამმატიკა», ტფ. გვ. 154,2), 1889).

**) მეორე პირი **ხვალ** ფორმისაგან «ვალ», აღნიშნავს დღეს-ის მეორე დღეს; მესამე პირისაგან «ვალს» გვაქვს ბოლო მოკვეცილი—ვა (მიმართ. მაჩვენ. ნაწილაკით მო, წა | ვა).

# რუსეთი

✦ **ს-დემოკრატების გაყოფა.** ს.-დ. პარტიის ორი ფრაქცია კვლავ დაშორდნენ ერთმანეთს. 8 იანვარს პეტერბურგში გათავდა პეტერბურგის კომიტეტის კომფერენცია, რომელიც მოწვეული იყო სხვა და სხვა პარტიებთან შეთანხმებათა შესახებ მოსალაპარაკებლად. კომფერენციაზე აღმოჩნდა 42 ბოლშევიკი, 28 მენშევიკი და 4—ცენტრალურ კომიტეტის წარმომადგენელი სათათბირო ხმით. ც.-კ.-ის წარმომადგენელმა განაცხადა: რადგან კომფერენცია ორ დამოუკიდებელ საარჩევნო ერთეულიდან შესდგება—ქალაქისა და საოლქოსა,—ამიტომ კომფერენცია ორ ნაწილად უნდა გაიყოსო. ბოლშევიკები წინააღუდგნენ ასეთ წინადადებას. უყარეს კენჭი და 42 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 28-სა კომფერენციამ უარჰყო ც.-კ.-ის წინადადება. ამის შემდეგ ც.-კ.-ის წარმომადგენელმა განაცხადა: რადგან კომფერენცია არ ემორჩილება ცენტრ. კომიტეტს, უკანასკნელი კანონიერად აღარ სთვლის კომფერენციას და ამის დადგენილებანი სავალდებულო აღარ იქნება პარტიის წევრთათვის. ამის შემდეგ 28 მენშევიკი კრებას თავს ანებებს. დარჩა 42 ბოლშევიკი, რომელთაც კომფერენცია კანონიერად აღიარეს და ერთხმად დაადგინეს შემდეგი: ს.-დ. ადგილობრივ შესაძლებლად სთვლის საარჩევნო შეთანხმებას ესერებთან და ტრუდოვიკებთან და უარჰყოფს შეთანხმებას კადეტებთან და ნაროდნ.-სოც-თან (ამ ორ უკანასკნელებთან შეთანხმების მომხრენი მენშევიკები არიან). ამრიგად კვლავ უთანხმოება ჩამოვარდა ცენტრალურ კომიტეტსა, ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის.

✦ **საქმე გერცენშტეინის მოკვლის შესახებ** ირჩევა ფინლიანდიის ქ. ტერიოკის ნაფიც მსაჯულთა სამაზრო სასამართლოში. ოცამდე მოწამე—რუსები და ფინლანდიელები. მოწმეებს წარუდგინეს ფოტოგრაფიული სურათები ლარიჩკინისა და ალექსანდროვისა, რომელთაც ბრალდებათ მკვლელობა—ბოროტ მოქმედებაში მონაწილეობა. ორივე სურათი მოწმეებმა იცნეს. დამსწრეთა ხელშია ფოტოგრაფიული სურათი, სადაც წარმოდგენილია ვრთად 30 შავრაზმელი რევოლვერებით. საბრძოლველად მოუმზადებულნი. პირველი ადგილი იმათში ალექსანდროვს უჭირავს. ვექილმა ვებერმა აჩვენა, რუსთა კავშირის ორი წევრი, ლავროვი და ზორინი, რომლებმაც მიამბეს, როგორ იყო მოწყობილი ეს საზარელი ბოროტმოქმედებაო. ამ საბუთების ძალით მე ბრალს ვსდებ გლეხს იაკობ ლარიჩკინს, მოქალაქეს სერგეი ალექსანდროვს, გუბერნ. სეკრეტ. ნიკოლოზ იუშკევიჩ-კრასოვსკის, მოქალაქეს აბრამ ტიპოლევს და პუტილოვის ქარხნის მებრძოლი რაზმის მეთაურს პოლოვნევს, რომ იმათ მოაწყეს გერცენშტეინის მკვლელობა და თვით მკვლელობა ლარიჩკინმა აასრულა. შემდეგ ვებერმა დაასურათა შავ-რაზმელების ორგანიზაცია და მოქმედება.

მოწმემ ლავროვმა აჩვენა, იურსკევიჩ-რასოვსკი გვაჯერებდა მე და ჩემ ამხანაგ ზორინს, მოგვეკლა პუტილოვის ქარხნის დირექტორი გიპპიუსი, როგორც სოციალისტი. ჩვენ უარი უთხარით. ამის გამო „რუსთა კავშირიდან“ გამოგვრიცხეს და პოლიციამ დაგვატუსაღა. რადგან „კავშირისაგან“ მოცემულ რევოლვერებს ვატარებდით. „კავშირში“ მონაწილეობა შიმშილმა მაიძულა. იქ მუქთად მაძლევდნენ სადილს, მე კი შიმშილით ვკვდებოდი. ჯერ ფიცი დამადებინეს, მშვიდობიანად მემოქმედნა, შემდეგ კი მკვლელობა დამავალეს. ლარიჩკინი გამომიტყდა, მე და ალექსანდროვმა მოვკალით გერცენშტეინიო. ალექსანდროვმა ტყვია ააცდინა. ჩემი ტყვია კი მოხვდა და მიწაზე დასცა გერცენშტეინი. მე მასთან მივირბინე ვეხმარებოდი და თავ მოყრილ ხალხთან ერთად ბინამდე წავიღე და იქაც უვლიდიო. ჩემს გარდა სთქვა, ლავროვმა, ლარიჩკინი გამოუტყდა აგრეთვე ზარინს, რომანოვს, თეოკტისტოვს და გოლოვინს.

დასახელებულმა მოწმე გლეხმა ზორინმა დაამტკიცა ლავროვის ნათქვამი და უამბო სასამართლოს, როგორ მოისყიდა იგი კავშირმა 40 მანეთით, ავალებდა მკვლელობას და გააგდო უარის თქმისათვის. დუბროვინი იმის თვალ-წინ ეფერებოდა ლარიჩკინს და კავშირის ერთგულ წევრს უძახოდა.

საქმის გარჩევა გრძელდება.

✦ **საქმე კავკასიელთა მებრძოლი რაზმის შესახებ,** რომელსაც გუშინდელ ნომერში მოგითხრობდით მკითხველებს, უკვე დამთავრდა მოსკოვის სამოსამართლო პალატაში. გამოირკვა, როგორ განზრახ გააზვიადა ბრალდება მოსკოვის პოლიციამ. პალატამ ციხეში დაპატიმრება ხადაუწყვიტა ბრალდებულთ: სრულ-წლოვანთ—ერთის წლით და არა სრულ-წლოვანთ—რვა თვით. სასჯელი უკვე გადახდილი აქვთ ბრალდებულთ, რადგან კარგა ხანია ციხეში სხედან, ამიტომ გაანთავისუფლეს ისინი; მათ შორის გიმნაზიელი კანდელაკი და სტუდენტი ცინცაძეც.

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 იანვარი.

**ბრიანსკი.** სადგურის ახლო ქარხანაში სამმა უცნობმა მოჰკლა ბოქაული ნადოლსკი. ტყვია, რომელმაც განგმირა ნადოლსკი, კარს მოხვდა, კარი გახვრიტა და ვიღაც მგზავრი დაჰკრა. მკვლელნი მიიმალნენ.

**კრემენჩუგი.** კრემენჩუგსა კრიუკოვის ბაზრამ სამხედრო ჩეკვებ მოხსნეს; ექვსი თვის ვადით საგანგებო დაცვის წესები შემოიღეს.

**ლოძი** შვიდის დღის შეჩერების შემდეგ პარტიულ ნიადაგზე მკვლელობა ისევ განძლიერდა. მუშათა ორ სხვა და სხვა ჯგუფის შეტაკების დროს, ერთი მოჰკლეს და ერთი დასჭრეს.

**მიტავა** სამხედრო სასამართლომ გაარჩია 9 ლატიშის საქმე. ისინი სოც. დემ. კომ. სახელით არეულობის დროს სხვებს იარაღს ართმევდნენ, რომ თვითონ შეიარაღებულიყვნენ. სასამართლომ ციხე მიუსაჯა ერთს—სამის წლით, სამს—სამის თვით. დანარჩენი გაამართლა.

**ტაგანროგი** სეირნობის დროს მძიმედ დასჭრეს უბნის ზედამხედველი გორინი. მისი მორჩენა საეჭვოა, მსროლელნი მიიმალნენ.

**ვარშავა.** კათოლიკების კონსისტორიამ სამღვდელოებას მთავარ ეპისკოპოსის ცირკულიარით უგზავნა. იგი ავალებს, გამოაცხადონ, რომ, მიუხედავად პაპის მიერ დანიშნულ ვადისა (ოცი დღე) 30 კათოლიკეს მღვდელი მარია ვიტემი ცოდვა არ შეინანა და ეკკლესიას არ დაუბრუნდა, ამიტომ ისინი ეკკლესიიდან გაძევებულნი არიანო.

**ოსტენზუნდი.** (შვეცია). 14 იანვარს, სადილის საათის ექვსზე, ემტლანდის ოლქში მიწა ძლიერად იძრა. მიწის ძვრამ 45 წამს გასტანა.

**კიევი.** იხომსკი, რომელმაც 8 მანეთის გულისათვის ძმა მოჰკლა და დიდედას სასიკვდილოდ სცემა, სინდისმა შეაწუხა და პოლიციასთან თვითონ გამოცხადდა.

**ბელოსტოკი.** ლაფაჟერის მაუდის ფაბრიკას ცეცხლი გაუჩნდა საქრობ განყოფილებიდან. ფაბრიკა სულ ფერფლად იქცა. ყველა მაშინა დაიწვა. კაცთაგან არავინ დაღუპულა. ზარალი დიდია. 400 მუშა ულუკმა-პუროდ დარჩა.

**საარბრიუკენი.** ვილდშტოკსკში რეიდენის მაღაროში 15 იანვარს დილით გაზმა საშინლად იფეთქა. ოფიციალურის ცნობით ჯერ-ჯერობით მღვიმე-პალატიდან 100 გვამი ამოიღეს. მნახველნი ამბობენ, 125 გვამი ამოთხარესო. მაღაროში კიდევ 300 კაცამდე იქნება.

**ბერდანსკი.** ქარბუქის შემდეგ მაზრაში 10 გაყინული კაცი იპოვნეს.

**ოდესსა.** როჟდესტვენსკი ქუჩაზე მოჰკლეს უბნის ზედამხედველი. დილით მოჰკლეს ერთი მუშა, „რუსის ხალხის კავშირის“ წევრი. კარეტნი ვიწრო ქუჩაზე ერთს ანარქისტს დასაჭერად მისდევდნენ; მან თავი მოიკლა. ამ ანარქისტს ურისის ბანკზე თავდასხმას აბრალებდნენ. გრადონაჩალნიკის კანცელარიის მახლობლად მოჰკლეს რუსის სანაოსნო საზოგადოების გემის კაპიტანი სენკევიჩი. მკვლელი მუშა დაიჭირეს.

**გონკონგი.** ძლიერ ქარბუქის და კოკის-პირულ წვიმის დროს ჩინელების 50 ნავი დაიღუპა. ნავთ-სადგური ნამტვრევებით არის სავსე. ას კაცამდე დაიკარგა. ევროპიელთაგან არავინ დაშავებულა.

**პეტერბურგი.** ვაჭრობის მინისტრმა სენატს წარუდგინა ოქმი ბაქოში ნავთის ვაჭრობის შესახებ.

**ოდესსა.** აღმოაჩინეს სოციალ-დემოკრატთა საიდუმლო ბინა. ჩხრეკის დროს იპოვნეს სხვა და სხვა ქალაქის მოქალაქეთა გამგეობის ბეჭდები, შტემპელები და საპასპორტო ბლანკები. ორი კაცი დააპატიმრეს.

**ოდესსა** კაპიტანი სენკევიჩი გემის „ცესარევიჩ გიორგი“-ს უფროსი მოჰკლეს რუსის სანაოსნო საზოგადოების კანტორასთან, რომელიც გრადონაჩალნიკის კანცელარიის გვერდითაა. სენკევიჩი კანტორისკენ მიდიოდა, ამ კაცმა ესროლა, იქვე მოჰკლა; დაგერდ... დროს მათ სამი პოლიციელი დასჭრეს. შემდეგ ერთი მკვლელი მძიმედ დაიჭრა, ხოლო მეორე მსუბუქად. ზღვაოსანთა გაფიცვის კომიტეტმა ამას წინად პროკლამაცია გამოსცა, სადაც ნათქვამია: სენკევიჩმა გენერალ-გუბერნატორს აცნობა, რომ „ცესარევიჩ გიორგის“ მეზღვაურნი ცუდად იქცეოდნენ იმ დროს, როდესაც კავკასიის ნაპირას გემს თავს დაეცნენ შეიარაღებული კაცებიო. გაფიცვის ბიურო აცხადებდა, რომ სენკევიჩს მაგიერი უნდა გადაუხადოთო.

**თეირანი.** მეჯლისმა უკანონოდ სცნო განსვენებულ შაჰის დადგენილებანი, რომლითაც, კონსტიტუციის გამოცხადების შემდეგ, მიწები დაურიგდათ მუქთად სხვა და სხვა პირთ. მეჯლისმა დაადგინა: შეუდგეს იმ დოკუმენტების განხილვას, რომელიც ამ საქმეს შეეხება.

რედაქტორ-გამომცემელი **ივ. ი. მჭედლიშვილი.**


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო

## დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ., ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ფ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. აველიშიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**კ. ი. გმელიშვილი:** 12—1 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. შჩერბინინა:** 1½—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი;** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

ა. **მ. პუგინოვი:** 6—7 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(150—ხალ.—8)

## კბილის საექიმოს სკოლა ლ. შტრემიხერისა

**გადვიდა** ერევნის მოედანზე (პუშკინის ქუჩა, № 3), საკრედიტო საზოგადოების სახლში.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8 საათიდან საღამოს 7-მდე. კვირაობით დილის 9 საათიდან 1-მდე. ფასი შემდეგის ნიხრით: რჩევისათვის ან კბილის ამოღებისათვის (ძირისა)—20 კაპ.; პლომბა 50 კაპეიკიდან; ხელოვნურ კბილის ჩაყენება—3 მანეთი თითო კბილს სადოსტაქრო აპერაციებსაც აკეთებენ. (100—50)

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს დაქვემდებარებული

## საბუხჰალტერო კურსები

**ნ. ვ. აბრამიანისა,**

ავტორის „Руководство торг. фабр. и нефтепр. бухгалтеріи“-ს. რომელიც მოწონებულია ფინანსთა სამინისტროს სამეცნიერო განყოფ., როგორც დამხმარე სახელმძღვანელო საკომერ. სასწავლებლისა და მათ ბიბლიოთეკებში.

**ასწავლიან და ამზადებენ ქალებს და კაცებს** 4 თვეში ბუხჰალტერიის პრაქტიკის შემწეობით.

კურსებზე მიღებულ საგნებს გარდა წლევანდელ სამოსწავლო წლიდან უფასოდ ასწავლიან **პოლიტიკურ ეკონომიას**—როგორც ახალ საგანს კურსებისთვის, და **სტენოგრაფიას** (კანსაკუთრებულ ფასით მსურველთათვის).

სწავლის დაწყება 1907 წლის 15 იანვრიდან დროკამოშვებით ყოველ 4 თვის შემდეგ. სწავლა ყოველ დღე ნასადილევს. თხოვნები მიიღება ყოველ დღე: საღამოთი 5—7 ს., დილით 9—10 ს. სწავლის გათავების შემდეგ ეძლევათ დაწესებული ატესტატი, დამტკიცებული ფინ. მინისტრის მიერ.

ამას გარდა, კურსებთან იმათვის, ვინც ნაკლებ არის მომზადებული, დაარსდა განსაკუთრებული კურსები რუსული ენა და არითმეტიკისა,

წესები და პროგრამები მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ.

მსურველთ ვთხოვთ მიმართონ წერილობით ან პირადად კურსების დამაარსებელს ტფილისში: **ნიკოლოზის ქ.,** 22 **ტელეფონი** 744.

ზემოდ დასახელებული სახელმძღვანელო იყიდება რუსეთის ყველა წიგნის მაღაზიაში. ვინც ავტორისაგან გამოიწერს—ფასს-დასადებ გადასახადს არ გაიღებს. ფასი 3 მან. 50 კაპ. 12—ხალ.—7)

## Открыта подписка на 1907 годъ на газету ЗАКАВКАЗЬЕ

ПОДПИСНАЯ ЦѢНА: на годъ 8 руб., на 6 мѣс.—5 руб., помѣсячно—1 руб.
Плата за объявленія: впереди текста за строку петита 15 коп. послѣ текста 8 коп.
Тифлисъ, Головинскій пр., д. Пондоева. рядомъ съ городской аптекой.
Редакторъ-издатель **П. А. ГОТУА**.


სტამბა „იდეალი“ (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ., № 6.